პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 251 (18493) | სამშაბათი, 2 ნოემბერი, 1982 წელი | ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მაღლა აღმართეთ 1982 წლის გეგმის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

დაე, უფრო გაძლიერდეს, გამდიდრდეს და გალამაზდეს ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლო!

სკკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

საოქტომბრო ვახტზე

რთვლის დღიური

ამ დღეებში დასავლეთ საქართველოს რაიონებში მეურნეობებში, იქ, სადაც რთველი მიმდინარობს, ზუსტად მოკმედებს კონვეიერი: პლანტაცია — ტრანსპორტი — ღვინის ქარხნები. რთველის მიმდინარეობას მკაცრ კონტროლს უწევენ ადგილობრივი პარტიული, სახელოთა და სამეურნეო ორგანოები.

შეუფერხებლად მუშაობენ გადამამუშავებელი საწარმოებიც.

სამრეწველო გაერთიანება სამტრესტის ოპერატიული მონაცემებით, 31 ოქტომბრის მოიკრიფა და ღვინის ქარხნებში გაიგზავნა 2397 ტონა ყურძენი. ყველაზე უკეთ იმუშავეს ზესტაფონისა და ოფრჯოლის რაიონების მევენახეებმა, სადაც შესანიშნავად ხუთის და ექვსის ტონაზე მეტი ყურძენი მოიკრიფა.

პირველი ნოემბრისათვის რესპუბლიკაში მოიკრიფა და გადასამუშავებლად ჩაბარდა 881.026 ტონა ყურძენი. შარშან ამ პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 758.252 ტონა ნედლეული.

რესპუბლიკის მევენახეები წელთაღრიცხვა მოსავლის ასაღებად დიდი ჯიგა დასჭირდათ. მათ უფრო პასუხსაგები ამოცანა აქვთ დასახული ვენახების მშრომელებს — დაამთავრონ რთველი მაქსიმალურად შეზვიდრილებულ ვადებში და უდანაკარგოდ.

(საინფორმი).

ჩვრების ბარაქა

ზესტაფონი. ახლა ნამდვილი პიკის დღეებია სოფლად. ყველა საქმეშია ერთად მოიყარა თავი, საშრია ამინდიანი დღეებიც. პარტიის რაიკომთან შექმნილი მოსავლის აღების რაიონული შტაბი ორგანიზებულად, ოპერატიულად ხელმძღვანელობს ფართო მასშტაბის საუშაოებს.

ამჟერად მაინც უმთავრესი სახუროვანია რთველი. სამშობლოს ისინი ხომ 32.000 ტონა ყურძენს პირიდებიან. ამიტომაც ძალ-ონონის დაუზოგავად შრომობენ ზვიადგელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები.

ინფორმაცია ლობიოს წარმოების მდგომარეობისა და მისი გაზრდის პერსპექტივების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. დ. მგელაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი მ. ბ. ღვინჭილი, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შ. ი. ჯინუყაძე, მეცნიერთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი მ. ნ. გვრიტიშვილი, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ლ. მ. დათიაშვილი, გორის რაიონის მაკვლევრების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ო. ს. ოსიპოვი, ბოლნისის რაიონული აგროსამრეწველო კავშირთან შექმნილ თავმჯდომარეთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. გელერი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ა. წითლიძე, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი თ. ვ. კუნაშული, საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი კ. ი. ქაჯაია, ცხინვალის რაიონის თამარაშენის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ყ. თ. კორიეი, გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ვ. ი. ხუციშვილი, ცხაკაიას რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე თ. ა. დგებუაძე, სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის“ მთავრიელი დ. გ. კეკენაძე.

თათბირზე ბაზისმით ყღინიშნა, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელება მოითხოვს შემჭიდროებითა მიდგომას, სასურსათო პროდუქტების წარმოების გაზრდის რეზერვების ყველგან ძიებას. ლობიოს წარმოება ერთ-ერთი ასეთი რეზერვია. რესპუბლიკაში არის ამ კულტურის მოკლა-მოყვანის კარგი ტრადიციები, ამიტომ სრულიად მიუღებელია ლობიოსადმი მეურნეობათა ხელმძღვანელების გულგრილი დამოკიდებულება. ასეთი გულგრილობა უნდა დაეძლიოთ. ბეჭითად უნდა ვასწავლოთ ხალხს ლობიოს მოკლა-მოყვანის ტექნოლოგია, მოვაწყოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, ბრიგადირების, მერგოლურების, მემანდაღრეების ზონალური სემინარები. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ტელევიზიას, რომელმაც უნდა მოიწყოს ტელემეცადინეობა მეცნიერთა მონაწილეობით.

ამისათვის, რომ უკვე მომავალ წელს მკვეთრად გავზარდოთ ლობიოს წარმოება, დღესვე უნდა გადაწყვიტოთ მთელი რიგი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, საკითხი — სად, როგორ და როდის დავთესოთ ლობიო, როგორ განვახორციელოთ კულტურის მოკლა-მოყვანისა და მოსავლის აღების მექანიზაციისა და ა. შ. მატერიალურად უნდა დავაინტერესოთ მოსახლეობა, გაბედულად გავხახორციელოთ მასთან კოოპერაცია ლობიოს ნათესების გაფართოებისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის.

რესპუბლიკაში გვაქვს შესანიშნავი ჯიშები — სარის ლობიო. გარდა ამისა, რომ იგი უხვ მოსავალს იძლევა, ეს ჯიში შეუცვლელია საკონსერვო მრეწველობისათვის. იგი უფრო აქტიურად უნდა დავნერგოთ.

თათბირმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დაუსახა ამოცანა 1985 წელს ლობიოს წარმოება 20 ათას ტონამდე გაზრდილიყოს. ამ ამოცანის გადაწყვეტა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, შესაძლებელია მხოლოდ ამ საქმისადმი კომპლექსური და მეცნიერული მიდგომის შედეგად.

თათბირმა მოსთხოვა ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონის ხელმძღვანელებს დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ უძვირფასესი კულტურისადმი გულგრილი დამოკიდებულების დასაძლეველად, უმოკლეს ვადებში მისი წარმოებისა და დამზადების გზრდის უზრუნველსაყოფად.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარიელაშვილი. (საქინფორმი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲙᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

31 ოქტომბერს სპეციალური რეისით რიგიდან თბილისში ჩამოვიდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

თბილისის აეროდრომზე ს. კიპრიანუს თვითმფრინავის კიბესთან დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გ. გელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზი.

სტუმარს დახვდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. ვ. ბედნიერიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბალონო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. ხერკენაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი ო. შ. ქაჯაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახალდიანი, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ი. გვეტაძე, ვ. ი. კობახიძე, რ. ჰ. კოტეკიანი, გ. გ. ლეკვეიშვილი, ა. ა. შუმანაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო საქმეთა მმართველის უფროსი ი. ი. ანდრიაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ბიჭინაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორგილაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დ. აღეკსიძე, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები რ. ს. ელიავაშვილი, ო. ა. ხრისტანიანი და სხვები.

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში ს. ტ. ასტაფანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების კაბინეტის მოადგილე ვ. ი. ანდრეევი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზუთე ევროპის განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ი. მინაკოვი, აგრეთვე კვიპროსის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ა. ანგელიდინი, რომლებიც თან ახლავან მას სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

კვიპროსის სახელმწიფოს მეთაურის პატივსაცემად აეროდრომზე აღმართეს კვიპროსის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები.

ბაგშვებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

აეროდრომიდან ავტომობილების კორტეჟი მოტოციკლეტისტთა ესკორტის თანხლებით სტუმრის რეზიდენციისაკენ გაემართა.

(საქინფორმი).

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი, ასტრონომიის ქართული სკოლის ერთერთი ფუძემდებელი — ა. ა. ალიხანიშვილი, ერთ-ერთ დიდი ასპარეზი, რომელზეც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თავისი კოლეგებისა და თანამშამფლეების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, არის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არის პარტიული, კომუნისტური მშენებლობის იდეალებისადმი სამსახური.

მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე მეცნიერი მოქალაქის დამსახურებაზე ბევრი რამ ითქვა 31 ოქტომბრის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე, სადაც ე. კ. ხარაძეს 75 წლისთავთან დაკავშირებით გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი აღრესი.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. კ. ხარაძემ ბრწყინვალე სახელების ფაფალოვანი ბრიგადა ბაიარონის, პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა სხვა ბრწყინვალე სახელების გვერდით.

გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ქართული ლიტერატურის უფუძ და ჯავარი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართული რომანტიზმის ამაღლება.

ჩვენი გენიალური პოეტის შემოქმედებასთან წ�ნაყარია ქართული ენის, სიტყვიერების, ეზოურნეების, ჰუმანიზმის განვითარების ბევრი სხვა ასპექტი.

(დასასრული 3Ს.-ᲖᲔ 3Გ.)

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი, ასტრონომიის ქართული სკოლის ერთერთი ფუძემდებელი — ა. ა. ალიხანიშვილი, ერთ-ერთ დიდი ასპარეზი, რომელზეც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თავისი კოლეგებისა და თანამშამფლეების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, არის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არის პარტიული, კომუნისტური მშენებლობის იდეალებისადმი სამსახური.

მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე მეცნიერი მოქალაქის დამსახურებაზე ბევრი რამ ითქვა 31 ოქტომბრის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე, სადაც ე. კ. ხარაძეს 75 წლისთავთან დაკავშირებით გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი აღრესი.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. კ. ხარაძემ ბრწყინვალე სახელების ფაფალოვანი ბრიგადა ბაიარონის, პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა სხვა ბრწყინვალე სახელების გვერდით.

გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ქართული ლიტერატურის უფუძ და ჯავარი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართული რომანტიზმის ამაღლება.

ჩვენი გენიალური პოეტის შემოქმედებასთან წილნაყარია ქართული ენის, სიტყვიერების, ეზოურნეების, ჰუმანიზმის განვითარების ბევრი სხვა ასპექტი.

(დასასრული 3Ს.-ᲖᲔ 3Გ.)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛᲝᲒᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲘᲕᲣᲓᲒᲔᲗ ᲚᲝᲑᲘᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲒᲡᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ერთვნული ჩამბარეული წარმოედგენელია ულობიოდ. ამ უძვირფასესმა პროდუქტმა ჩვენში საყოველთაო აღიარება დიამსახურა. რა სახით არ ამზადებენ მას საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში! ლობიოს, როგორც სასურსათო პროდუქტის ყოვთანაობა ოდითგანვე ცნობილი, ხალხურმა სელექციამ შეარჩია ათობით ჯიში, გამოიყვანა ახალი ფორმები, რომლებიც საუკეთესოდ შეეგუენენ ადგილობრივ პირობებს.

ლობიოს „მეცნარეულ ხორცს“ უწოდებენ. მართლაც, ამ პროდუქტის ასი გრამი 320-330 კილოკალორიას შეიცავს, მაშინ, როცა ძროხის ხორცი — სულ 187, ხოლო ცხვრისა —203 კილოკალორიას. კალორიულობით ლობიო 1,5-ჯერ აღემატება პურს, 3,5-ჯერ კარტოფილს და 9-ჯერ კომბოსტოს.

იყო დრო—და არც ისე დიდი ხნის, სულ 25 წლის წინათ, — როცა ლობიოს შერეულ ნათესებს რესპუბლიკაში 24,2 ათასი ჰექტარი ეკავა, ამ ფართობზე სტაბილურად უხვ მოსავალს იღებდნენ: მაგალითად, ხაშურის რაიონში საშუალოდ ჰექტარზე 10 ცენტნერს, ხოლო საქართველოს მთელი რიგი რაიონების ცალკეულ მეურნეობებში მეტსაც — 15-20 ცენტნერს ჰექტარზე.

მაგრამ თანდათანობით, მთელი რიგი მიზეზების — სათესლე მასალის უკონლობის, მოვლა-მოყვანის შრომატევადობის, მექანიზაციის სირთულისა და სხვა მიზეზების, მათ შორის ყბადაღებული მთლიანი პროდუქციის გამოდგენების გამო (სამიდი ხომ რამდენჯერმე უფრო უხვ მოსავალს იძლევა, ვიდრე ლობიო), მეურნეობებმა უარი თქვეს ამ კულტურის მოკლა-მოყვანაზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ახლა საქართველოში ლობიოს შერეული ნათესები სულ 1.700 ჰექტარს შეადგენს...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვე პლენუმმა სოფლის მშრომელებს მიმართა დაუსახა ამამღონ მარცვლეულის, მათ შორის ლობიოს წარმოებაც, როგორც სასურსათო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა. ამ ძვირფასი სასურსათო კულტურის წარმოების გაზრდის პრობლემას მიეძღვნა თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელზეც მოიწვიეს რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები.

ინფორმაცია ლობიოს წარმოების მდგომარეობისა და მისი გაზრდის პერსპექტივების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. დ. მგელაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი მ. ბ. ღვინჭილი, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შ. ი. ჯინუყაძე, მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი მ. ნ. გვრიტიშვილი, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ლ. მ. დათიაშვილი, გორის რაიონის მაკვლევრების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ო. ს. ოსიპოვი, ბოლნისის რაიონული აგროსამრეწველო კავშირთან შექმნილ თავმჯდომარეთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. გელერი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ა. წითლიძე, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი თ. ვ. კუნაშული, საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი კ. ი. ქაჯაია, ცხინვალის რაიონის თამარაშენის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ყ. თ. კორიეი, გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ვ. ი. ხუციშვილი, ცხაკაიას რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე თ. ა. დგებუაძე, სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის“ მთავრიელი დ. გ. კეკენაძე.

თათბირზე ბაზისმით ყღინიშნა, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელება მოითხოვს შემჭიდროებითა მიდგომას, სასურსათო პროდუქტების წარმოების გაზრდის რეზერვების ყველგან ძიებას. ლობიოს წარმოება ერთ-ერთი ასეთი რეზერვია. რესპუბლიკაში არის ამ კულტურის მოკლა-მოყვანის კარგი ტრადიციები, ამიტომ სრულიად მიუღებელია ლობიოსადმი მეურნეობათა ხელმძღვანელების გულგრილი დამოკიდებულება. ასეთი გულგრილობა უნდა დაეძლიოთ. ბეჭითად უნდა ვასწავლოთ ხალხს ლობიოს მოკლა-მოყვანის ტექნოლოგია, მოვაწყოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, ბრიგადირების, მერგოლურების, მემანდაღრეების ზონალური სემინარები. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ტელევიზიას, რომელმაც უნდა მოიწყოს ტელემეცადინეობა მეცნიერთა მონაწილეობით.

ამისათვის, რომ უკვე მომავალ წელს მკვეთრად გავზარდოთ ლობიოს წარმოება, დღესვე უნდა გადაწყვიტოთ მთელი რიგი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, საკითხი — სად, როგორ და როდის დავთესოთ ლობიო, როგორ განვახორციელოთ კულტურის მოკლა-მოყვანისა და მოსავლის აღების მექანიზაცია და ა. შ. მატერიალურად უნდა დავაინტერესოთ მოსახლეობა, გაბედულად გავხახორციელოთ მასთან კოოპერაცია ლობიოს ნათესების გაფართოებისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის.

რესპუბლიკაში გვაქვს შესანიშნავი ჯიშები — სარის ლობიო. გარდა ამისა, რომ იგი უხვ მოსავალს იძლევა, ეს ჯიში შეუცვლელია საკონსერვო მრეწველობისათვის. იგი უფრო აქტიურად უნდა დავნერგოთ.

თათბირმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დაუსახა ამოცანა 1985 წელს ლობიოს წარმოება 20 ათას ტონამდე გაზრდილიყოს. ამ ამოცანის გადაწყვეტა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, შესაძლებელია მხოლოდ ამ საქმისადმი კომპლექსური და მეცნიერული მიდგომის შედეგად.

თათბირმა მოსთხოვა ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონის ხელმძღვანელებს დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ უძვირფასესი კულტურისადმი გულგრილი დამოკიდებულების დასაძლეველად, უმოკლეს ვადებში მისი წარმოებისა და დამზადების გზრდის უზრუნველსაყოფად.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარიელაშვილი. (საქინფორმი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘᲐ ლ. ი. ბრეჟნევმა სკკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა ხალხის სახელით ალეირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალურ მდივანს შადლი ბენჯედიდს, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის და მთელ მეგობარ ალეირელ ხალხს მიილოცა ალეირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — ალეირის რევოლუციის 28 წლისთავი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობენ ხალოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას თემაზე: „80-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ: ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲙᲘᲡᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ“.

მოხსენებას თემაზე „აღვზარდოთ ახალგაზრდობა უფროს თაობათა საუკეთესო ტრადიციებზე“ წაიკითხავს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ნ. ორჯონიკიძე.

კითხვა გაიმართება 1982 წლის 8 ნოემბერს 17 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის ხხდომათა დარბაზში (პლეხანოვის პრ. 61).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული საუბილეო სტატისტიკური წელიწდეული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1922-1982“ (გამომცემლობა „ფინანსები და სტატისტიკა“). წელიწდეულში ქვეყნდება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატისტიკური მასალები. საერთო საკავშირო შედეგების გარდა ზუსტად არის დახასიათებული მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

წელიწდეულში დაბეჭდილია ცალკეული ცნობები, რომლებიც ახასიათებენ სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკასა და კულტურის განვითარებას. მთელი რიგი მაჩვენებლები შედარებულია კაპიტალისტურ ქვეყნების მაჩვენებლებთან. (საკელი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: დამთვალიერებლები ეცნობიან სახლ-მუზეუმის ექსპონატებს.
ი. დავითაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

„ᲓᲐ ᲒᲖᲐ ᲣᲕᲐᲚᲘ, ᲨᲔᲜᲒᲐᲜ ᲗᲔᲚᲘᲚᲘ, ᲛᲔᲠᲐᲜᲝ ᲩᲔᲛᲝ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ“

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ!

ჩვენ დღეს აქ, ძველი თბილისის განახლებულ და აღორძინებულ ანჩისხატის უბანში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიულ სახლში ვართ. ამ პატარა, მაგრამ ლამაზ სახლში ცხოვრობდა დიდი მოაზროვნე, აქ ქმნიდა თავის უკვდავ შედევრებს ბარათაშვილის გენია.

დღევანდელ ზეიმს განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ლენინის ორდენით დაჯილდოება, დიდებული დღესასწაული თბილისობა, რომელიც კარგ ტრადიციად იქცა.

დღევანდელი ზეიმი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენ, კომუნისტები, პირდაპირი მემკვიდრენი ვართ ცივილიზაციის ყველა მონაპოვრისა, მათ შორის კულტურის, პოეზიის ზოგადსაკაცობრიო მიღწევებისა.

კომუნისტებისათვის არათუ უცნო არ არის ნარსულის პროგრესული მემკვიდრეობა, არამედ, პირიქით, ეისაკ ისტორია და ნარსული დიალექტიკურად არა აქვს აღქმული, არც შეიძლება სრულფასოვანი კომუნისტი ეწოდოს, რადგანაც ასეთი შემთხვევაში მას არც თანამედროვეობა ესმის სრულყოფილად და იგი ვერც მომავალ განვეტრეტს მეცნიერულად, რამეთუ ანმყო, მობილი ნარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა: ასეთია ფროსა და ისტორიის განვითარების ლოგიკა.

თბილისის ერი, ისტორიული უბნის ეს პატარა სახლი, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ერის დიდი ძეგლია.

კედლებიდან გვიმზერენ ერეკლე მეორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ დიდაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის, პლატონ იოსელიანის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების, მანანა და მაიკო ორბელიანებისა და სხვა მამულიშვილთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, პოეტთა, ფილოსოფოსთა, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა ნათელი სახეები.

ჩვენ ვხედავთ ცოცხალ ნარსულს, თითქოს მას ფეხი აუდგამს და აქ მოსულა, რომ თანამედროვეობას მოავლოს თვალი, ხოლო ჩვენ ნარსულს ვაკვლევთ თვალს, რომ უკეთ შევიცნოთ თანამედროვეობა და სწორი გზით ვიარით მომავლისაკენ.

ერთი ფილოსოფიური სენტენცია ამბობს: ნუ ესერი ნარსულს დამპაჩას, თორემ მომავალი ხარჩაზანს დაგიმენსნო.

ამ ფრთოსან ფრაზაში დიდი პოლიტიკური სიბრძნეა არის ჩაქსოვილი.

ჩვენი კულტურის განვითარებაში უნყვეტია დროთა კავშირი, თუმცა ხშირად დამდგარა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. „ძნელი იყო საქართველოს ისტორია. ული სვე-ბედი, — სავსებით სამართლიანად თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე— საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა იგი უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს, რომლებიც ანანგებდნენ ქვეყანას, მაგრამ თქვენი ნინაპრების თაობები კავკასიონის კლდესავით მტკიცენი აღმოჩნდნენ. მათ დაიცვეს დამოუკიდებლობა, შექმნეს და შეინარჩუნეს თავისთავადი, მრავალმხრივი უნიკალური ეროვნული კულტურა“.

სნორედ ამ უნიკალური კულტურის ზეიმია დღეს ამ პატარა სახლში.

ქართულ მწერლობაში, ქართულ პოეზიაში ბარათაშვილის სახელი ბრწყინავს რუსთაველის, გურამიშვილის, ჭავჭავაძის, ნერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის პოეტურ თანავარსკვლავედში.

ბარათაშვილის სახელი დგას ბაირონის, პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა სხვა ბრწყინვალე სახელების გვერდით.

(დასასრული

„და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება"

(დასასრული)

„შედარებით მალე აღვნიშნავთ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების 200 წლისთავს. სწორი არჩევანი მოახდინეს ჩვენმა წინაპრებმა 200 წლის წინათ", — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თბილისში.

ერთ-ერთი ჩვენი დიდი წინაპარი, ვინც ქართლის ბედის ამ ისტორიულ შემობრუნებას უმღერა, ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო.

დღეს, როდესაც ვემზადებით გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ისტორიული ორიენტაციის მნიშვნელობას. საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი სასიქადულო პოეტის ორი ნაწარმოები: პოემა „ბედი ქართლისა" და ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა". ცხოვრებამ დაადასტურა, რომ დიდი პოეტი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია არა მარტო XIX საუკუნის ქართველის ცნობიერების, მისი მსოფლმხედველობის, მისი ეროვნული და ისტორიული ორიენტაციის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, არამედ ქართველი ერის ისტორიაში ყოველი პოლიტიკური და სოციალური შემობრუნების მომენტში იგი იბრძოდა და დღესაც იბრძვის რუსთა და ქართველთა მეგობრობის განსამტკიცებლად.

ამ ფუნქციას — ქართველი კაცის სწორი მსოფლშეგრძნების ფორმირების, ისტორიული წარსულის სწორად შეფასების ფუნქციას დღესაც ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს ერის ცხოვრებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი პოეტური მემკვიდრეობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიული პოზიცია მით უფრო ღირებულია, რომ იგი უშუალოდ ერეკლე მეორის შემდგომი პერიოდის საქართველოს მოქალაქის მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, პოეტი ისტორიული მოწმეა იმ ძვრებისა, იმ სიკეთისა, რომელიც მოუტანა ქართველ ერს ორი ხალხის მეგობრობამ, ერეკლე მეორის გზამ მომავლისაკენ.

ისტორიული ფიგურები ერთგანზომილებიანი პიროვნებები არ არიან. მათი ნამოღვაწარისადმი დიალექტიკური, შემოქმედებითი მიდგომისა და მედავითნეობის დაძლევის შედეგია ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მოსკოვში ძეგლი დაუდგა იური დოლგორუკის, კიევში — ბოგდან ხმელნიცკის, თელავში — ერეკლე მეორეს, თბილისში — ვახტანგ გორგასალს.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ ცხოვრება ყველა კანონსა და კანონზომიერებაზე უფრო ფართო და ღრმა მოვლენაა და ყველა თაობას მოეთხოვება ისტორიის, წარსულის, თანამედროვეობისა და მომავლის დიალექტიკური, შემოქმედებითი განჭვრეტა.

ამ სახლში ცხოვრობდა ჭაბუკი ტატო, რომელსაც არც ერთი თავისი სტრიქონი არ უნახავს დაბეჭდილი.

დღეს ვხსნით ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს და გვახსენდება დიდი ილიას სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა პოეტის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების დღეს: „იქნება სთქვან, გვიან არისო". მაგრამ „ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი ამაღლებულია სულითა და გულით..."

ჟამთასვლამ არათუ ვერაფერი დააკლო, პირიქით, რაც დრო გადის, — სიმაღლე და დიდება ემატება ბარათაშვილის შემოქმედებას.

ბარათაშვილის პოეზიის გაელვება მსოფლიო ასპარეზზე რაღაცით ჰგავს მისივე მერნის გაქროლებას მარადისობის გზებზე. ის მეტეორივით შემოიჭრა პოეზიაში, მაგრამ მეტეორივით არ ჩამქრალა, პირველი სიდიდის ვარსკვლავად დარჩა პოეზიის ცაზე და შორს გაიტანა ქართული ლექსისა და საქართველოს სახელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის მძლავრი იარაღია, დიდი მამულიშვილის, დიდი ერისკაცის პოეზიაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია იმავე დროს ხალხთა მეგობრობის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის მძლავრი იარაღიცაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილთან ეროვნული ზოგადკაცობრიულის დონემდე მაღლდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია არის ჩვენი ახალგაზრდობის მხატვრულ-ესთეტიკური, სულიერი აღზრდის უშრეტი წყარო. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებსო". — ქადაგებდა პოეტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ჩვენი ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი აღზრდის მდიდარი საგანძურია.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს!"

მისი პოეზია მამულისათვის, ერისათვის, კაცობრიობისათვის ზრუნვის კლასიკური მაგალითია, მარადიული, სულში ჩამწვდომი მოწოდებაა. რომელიც მუდამ პოულობდა და პოულობს ხალხის გულში მხურვალე გამოძახილს.

„მისნი გრძნობანი, — ამბობდა ილია — მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია".

ნიკოლოზ ბარათაშვილი ახალი გზების გამკვლევია პოეზიის ისტორიაში.

„და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!" — გვესმის პოეტის ხმა XIX საუკუნიდან და ჯერ გაუკვალავი გზების ძიებისაკენ მოგვიწოდებს XX საუკუნეში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდი ფიგურაა ქართული მწერლობის, ქართული კულტურის ისტორიაში.

ბარათაშვილი ცოცხალია და ამიტომ ჩვენი თანამედროვეა. მაშასადამე, ბარათაშვილი ეკუთვნის აწმყოს.

ბარათაშვილი უკვდავია და ამიტომ ის ეკუთვნის მომავალს, მარადისობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ პატარა სახლიდან, სადაც დღეს ვიმყოფებით, გაემგზავრა განჯაში და იქ, დღევანდელ კიროვაბადში, აზერბაიჯანში შეწყდა მისი გულისცემა.

ბიოგრაფია პოეტს საქართველოსა და აზერბაიჯანთან აკავშირებს, შემოქმედება — მთელ კაცობრიობასთან, ყველა საუკუნესთან, წარსულთან, თანამედროვეობასა და მომავალთან.

სანამ არსებობს საქართველო, სანამ არსებობს პოეზია, იცოცხლებს ბარათაშვილის უკვდავი გენია!

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნაზე გამოვიდნენ ნ. ვ. დუმბაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ნ. ჯიბლაძე, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 3 სამედიცინო სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი გ. ქ. გალდავა.

შემდეგ აჟღერდა ბარათაშვილის ლექსები, ამ ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

დამსწრეთათვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო ლატვიის სს რესპუბლიკის თვითმოქმედი კამერული გუნდის „კანტუსის" გამოსვლა, რომელმაც ლატვიურ ენაზე შეასრულა „მორბის არაგვი" და „სულიკო".

ამავე დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლთან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დიდხანს ისმოდა მისი ლექსები, როგორც მადლიერ შთამომავალთა სამადლობელი, როგორც გამოხატულება საყოველთაო-სახალხო სიყვარულისა პოეტის უკვდავი შემოქმედებისადმი. (საქინფორმი).

ვაჭრობა: ვალის დაბრუნების დროა

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქონლის მარაგი იზრდება, მყიდველის მოთხოვნა კი ცუდად კმაყოფილდება. საწყობებში საკმაოდ არის ბამბისა და სელის ქსოვილები, შეკერილი ტანსაცმელი და სხვა საქონელი, მყიდველი კი ვერ შოულობს მას.

ვის მიუძღვის ბრალი ამ პარადოქსში? ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი იმისათვის, რომ ხშირად მყიდველისათვის საჭირო ნაწარმი დაგვიანებით ჩნდება დახლებზე?

ეს საკითხები აღძრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მონაწილეებმა, რომლებმაც შეშფოთებით განაცხადეს: რესპუბლიკაში დაძაბული ვითარებაა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების მხრივ. ცხრა თვის დავალება შესრულებულია მხოლოდ 97,5 პროცენტით, გეგმის შეუსრულებლობამ ფულადი გამოხატულებით 87,5 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ თანხის თითქმის ნახევარი სექტემბერში დაგროვდა.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ საცალო საქონელბრუნვის ცხრა თვის გეგმა 99,2 პროცენტით შეასრულა. მისი 23 ორგანიზაციიდან ხუთი ჩამორჩენილთა შორისაა. ესენია აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები, ხაშურქალაქვაჭრობა, „საქიუველირვაჭრობა", რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „ავეჯი". სექტემბერში მათ მიემატა კიდევ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოც. შარშანდელ დონესთან შედარებით უარესად მუშაობენ ზუგდიდვაჭრობა და ბორჯომკურორტვაჭრობა.

კარგად ვერ არის საქმე ცეკავშირის სისტემაშიც. აქ 24 ორგანიზაციამ ვერ გაართვა თავი ცხრა თვის საგეგმო დავალებას. მნიშვნელოვანი გარღვევები აქვთ აფხაზეთის კოოპკავშირის, აჭარის კოოპკავშირის, ახალქალაქის, სიღნაღის, წყალტუბოს, გურჯაანის, ლაგოდეხის, ყვარლის, წითელწყაროს, ჭიათურის, სხვა ორგანიზაციების კოლექტივებს. ხოლო კოოპერატორების ჩამორჩენის „პიკი" კვლავ სექტემბერს დაემთხვა. ამ თვეში გეგმა ვერ შეასრულეს ორმოცდათერთმეტი ორგანიზაციის კოლექტივებმა.

ბევრ რამეში ბრალი მიუძღვის მრეწველობასაც, რომელიც არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებებს დროის, ასორტიმენტისა და ხარისხის დარგში. მაგალითად, წლის პირველ ნახევარში დამამზადებლების მიერ სავაჭრო ქსელში გაგზავნილი ნაწარმიდან, რომელიც შეამოწმა საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციამ, ყოველი მეორე დააბრუნეს სტანდარტთან შეუსაბამობის გამო.

რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე პირდაპირი უკმარმიწოდებაც. სავაჭრო ორგანიზაციების და, მაშასადამე, მყიდველის წინაშეც ვალში არიან მსუბუქი, ადგილობრივი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები და სხვა. მათმა ბაზრისადმი დავალიანებამ მიმდინარე წლის რვა თვის მანძილზე 121 მილიონ მანეთს მიაღწია.

თათბირმა ჩამორჩენის კიდევ ერთი მიზეზი გამოავლინა. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, ზოგიერთი რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ცუდად ერკვევიან ვითარებაში: არ სწავლობენ მყიდველის ცვალებად მოთხოვნას, ცუდად იყენებენ რესურსებს, ინფორმაციას არ აწვდიან მიმწოდებლებს მოსახლეობის მოთხოვნილების შესახებ. თათბირზე გამოვიდნენ სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის რაიონების, ქალაქ წყალტუბოს ზონისა და სხვა რაიონების წარმომადგენლები, რომლებმაც აღიარეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, მაგრამ კონკრეტულად მაინც ვერ გასცეს პასუხი იმას, როგორ გადაჭრან მათ წინაშე მდგომი პრობლემები.

რეზერვების გამოყენება, ვაჭრობის ორგანიზაციის კარდინალური გაუმჯობესება — ასეთია გარღვევიდან დარგის გამოყვანის გზა. ეს რეზერვები არის, მხოლოდ საჭიროა მათი გამოყენების ცოდნა. და ამაში ვაჭრობის კოლექტივებს კიდევ უფრო აქტიურად უნდა დაეხმარონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

თათბირის მონაწილეებმა განსაზღვრეს ამოცანები, რომელთა რეალიზაციაზეც დამოკიდებულია სავაჭრო პროცესის ეფექტიანობა, და საბოლოოდ, საგეგმო დავალებათა უთუო შესრულება.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგემ ა. ი. კავსაძემ. (საქინფორმი).



„მოსავლის დღესასწაული" თბილისის იპოდრომზე

სიცოცხლის სადიდებელი

მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირის, რესპუბლიკის ორდენოსანი დედაქალაქისადმი საქართველოს სოფლის მშრომელთა უდიდესი სიყვარულის გამოხატულება გახდა რესპუბლიკის სახელოვანი შვილების — შრომის გმირების, ქალაქისა და სოფლის წარჩინებული ადამიანების, წარმოების მოწინავეებისა და უხვი მოსავლის შესანიშნავი ოსტატების შეხვედრა. შთამბეჭდავი მოვლენის ათასობით მონაწილე შეიკრიბა 31 ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე, სადაც გაიმართა ფერადოვანი, ლამაზი „მოსავლის დღესასწაული". იგი შეიძლება შევადაროთ საზეიმო სიმღერას, რომელიც აჟღერდა მეჩაიეთა, მევენახეთა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მშრომელთა შრომითი გმირობის სადიდებლად.

გავიხსენოთ, სულ ახლახან იყო ეს: ამინდი როდი ანებივრებდა მიწათმოქმედებს. სოფლის საზრუნავი, რომელიც სტიქიას დაუპირისპირდა ქალაქმა გაიზიარა. თბილისი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა თითოეულ რაიონს. შეკავშირებულმა ადამიანებმაც გაუძლეს გამოცდას. ვაზი ღონივრდებოდა, ძალას იკრებდა. შემოდიოდა მზით ნაალერსევი ჩაი, ქართული მადლიანი მიწის ბარაქა ამ დღეებში შეახსენებს თავს თბილისელებს, ახარებს მათ თვალს, მოწმობს სოფლის დიდ წარმატებებს, მის გულწრფელ სურვილს ქალაქს უზიაროს თავისი ბედნიერი ნახელავი. სიხარული, სიამაყე დასადგურებულა უკვე მერამდენედ! — გაისმა მეჩაიეთა პატაკი, რომლებმაც წელს 537 ათას ტონამდე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. რთველს ამთავრებენ ქართველი მევენახენი. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეციტრუსეებს, მეხილეებს, მეცხოველეებს, შეინარჩუნონ მიღწეული და ახალი წარმატებანი მოიპოვონ.

„საქართველოში ოდითგანვე პატივით სარგებლობს მიწათმოქმედის ძნელი შრომა—თქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ. — სოფლის მშრომელთა ოსტატობა არ დაქვეითებულა დღესაც: საქართველოს წილმა [illegible] შიდასახელმწიფოებრივ მესყიდვაში შარშან შეადგინა 8 პროცენტი, ყურძნისა — 13 პროცენტი, ჩაის ფოთლისა — 94 პროცენტი, ციტრუსისა — თითქმის 100 პროცენტი. ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს დღეს მადლობა მოვახსენოთ თქვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს მათი თავდადებული შრომისათვის".

... საზეიმოდ მოურთავთ თბილისის იპოდრომი. „მოსავლის დღესასწაულში" მონაწილეობისათვის აქ მოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ლ. ზაქაიძე, ბ. დ. მახარაშვილი, ქ. ქ. შარტავა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. ჰუსეინოვი, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მხედართმთავრები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, თბილისობაზე საქართველოს დედაქალაქში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული სტუმრები.

ზეიმის დაწყების წინ რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ნორჩი კაკლის ხეები დარგეს. დღესასწაულის საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს ექსპონატების გამოფენა, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ მშობლიური მხარის სიუხვეს.

„... დიდება, სამშობლოვ, შენ, თავისუფალო!"—წარწერილია იპოდრომის კედელზე. წარწერის შუაშია სსრ კავშირის უზარმაზარი გერბი. საზეიმოდ ჟღერს იპოდრომზე კომპოზიტორ შ. მშველიძის ორატორია. მარჯვნიდან ცენტრალური ტრიბუნისაკენ დაიძრა ღია ავტომობილების კოლონა. მოდიან საქართველოს დედაქალაქის მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლები. მათ შორისაა სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე ილურიძე, ამავე საწარმოს ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი გაჩეჩილაძე, წარმოების მოწინავე — მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხნის მუშა ანატოლი კუდრენკო, ომისა და შრომის ვეტერანები. მათ შესახვედრად მოდიან ადამიანები, რომლებიც ჩვენი სიამაყენი არიან. ესენი არიან ორგზის ლენინის ორდენოსანი ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ნაზო პეტრიაშვილი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ნორა საკანია, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გალუშა სახოკია და სხვები. გულწრფელი მისალმება და სოფლელები ქალაქელებს ულოცავენ სამშობლოს საპატიო ჯილდოს, გადასცემენ მათ თაიგულებს.

— მხედარმა შემოაგელვა ფიცხი თეთრონი და რესპუბლიკის სახელმწიფო ალმით შემოურბინა ქალიშვილებისა და ჭაბუკების მწკრივებს. პროფესიულტექნიკური სასწავლებლის ორი ათასამდე მოსწავლე თითქოს რუკაზე ქმნიან საქართველოს ფერად კონტურებს. თვალს ახარებს მადლიანი მხარე: ღელავს ზღვა, ცად აზიდულან მთები და ქედები, გადაჭიმულა ნაყოფიერი მინდვრები, და ყოველივე ეს თითქოს ყოველი მხრიდან თბილისისაკენ მოიწევსო, რომელსაც განასახიერებს „ქართლის დედა". „საქართველო" წარწერილია ცოცხალი რუკის შუაში.

მამული, სამშობლო, მშობლიური მიწა! წმინდათაწმინდა, კეთილშობილური ცნებებია, რომლებმაც ღრმა აზრი შეიძინეს ახლა. რამდენი სილამაზე, გრძნობა და აზრია ჩაქსოვილი გალაკტიონის ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ...", რომელმაც ნამდვილი პატრიოტიზმის ძალითა და ამასთან უბრალოდ გამოხატა ადამიანის დამოკიდებულება ადგილისადმი, სადაც მისი აკვანი დაირწა.

და აი, ერთმანეთს ცვლიან სადღესასწაულო ასპარეზზე სამშობლოს შვილები. აფხაზ მხედრებს მოაქვთ ემბლემა, რომელიც აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობის იდეას გამოხატავს. მზიური აფსნის მშრომელებმა რესპუბლიკა გაახარეს წლევანდელი მიღწევებით.

მოედანზე ფერხულში ჩაებნენ გეგეჭკორის რაიონის თვითმოქმედი ანსამბლის მოცეკვავენი, შემდეგ „საქართველოს რუკაზე" ადგილს იკავებს ამ რაიონის დელეგაცია, რომელიც სპორტსმენ ცხენოსნებს ჩოხატაურის რაიონის გუნდთან ცხენბურთში საასპარეზოდ გზავნის.

ეროვნულ სახეობათა სპორტისდაცვისა და განვითარებისათვის ზრუნვით არის გარემოსილი რესპუბლიკის ბევრი რაიონის სოფლის ცხოვრება. სპორტი მუდამ იყო საქართველოში კარგი საშუალება იმათი დასვენებისათვის, ვინც ველის ბაღებს, ახარებს ვაზს, მწყემსავს ცხვარს. ხალხური თამაშობანი დღესასწაულზე ერთმანეთს ცვლის. საინტერესო იყო მხედრების გამოსვლა...

„სიმდი!" მომხიბლავი, ნარნარი, ოსი ხალხის ხელოვნებით შექმნილი ცეკვა. მას შთაგონებით ასრულებს ცხინვალის ქორეოგრაფიული ანსამბლი.

ავანსცენაზე არიან ქართლ-კახეთის წარმოგზავნილები.

მხიარულებითა და იუმორითაა გამსჭვალული ჭიუტ სახედრებზე ამხედრებულ პატარა კახელების შეჯიბრება.

— ჩვენმა ბრიგადამ საბჭოთა მეურნეობაში წამოაყენა თაოსნობა — მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შევასრულოთ, — თქვა ახმეტის რაიონის მეცხოველეთა ბრიგადის ბრიგადირმა ნაზო პეტრიაშვილმა — მაგრამ რის ხარჯზე? ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ, რომ, თუ სწორად მოვუვლით პირუტყვს, მკაცრად დავიცავთ მეცნიერულ რეკომენდაციებს, შევძლებთ კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. ამას ხელს შეუწყობს ჩვენი მეურნეობის ფერმების გაფართოება და განახლება, რომელიც ახლა წარმოებს.

ყველა თბილისობას დავსწრებივარ, მაგრამ წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებით დამამახსოვრდება — საქართველოს დედაქალაქის დროშა სამშობლოს უმაღლესმა ჯილდომ დაამშვენა.

ჭაფითაა აღსავსე კახელი მევენახისა და მისი ქართლელი თანამოძმის ცხოვრება. მრავალჟამიერ! — ამ ათასწლოვანი სიმღერის ჰანგებზე შეკრებილან მევენახეები რთველზე, მოდის და მოჩქეფს მაჭარი, სიმღერა ხოტბას ასხამს შრომას. საღამოს კი ნახერხით მოფენილ წრეში ფალავნების შეჯიბრია. ქართული ჭიდაობის ოსტატთა სახელები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არის ცნობილი. ბევრი მათგანის სამშობლო ქართლი და კახეთია. და კვლავ იმის ტაში, რომლითაც აჯილდოვებენ ფალავნების სიმარჯვეს, საზრიანობას, ძალას...

მორიგ ინტერვიუს ვართმევთ კაცს, რომელიც არ ფარავს თავის აღტაცებას. იუსუბ ნასიბოვი, საქსასოფლტექნიკის დმანისის რაიონული გაერთიანების მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

— ვუყურებ და სულით და გულით შევხარი დიდ დღესასწაულს. თბილისობაზე კარგი ცნობები ჩამოვიტანე. ჩვენს რაიონში წარმატებით მთავრდება მარცვლოვნების აღება. შევძელი ვადამდე შემესრულებინა პირადი დავალება. თბილისობაში განსაკუთრებით მიზიდავს ის, რომ დედაქალაქის ყველა მცხოვრებიც და ქალაქის სტუმრებიც ამ დღეს ერთნაირად ბედნიერი არიან.

ქუთაისის, მახარაძის, თერჯოლის, ლენტეხის, დუშეთის, საქართველოს პრაქტიკულად ყველა რაიონის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა შესხეს ხოტბა რესპუბლიკის მიწათმოქმედთა, სოფლის მშრომელთა გამრჯე მარჯვენას. ტრიბუნების წინ ჩაიარეს რაჭველმა ხაბაზებმა, იმერელმა მესიმინდეებმა, თუშმა მეცხვარეებმა, ხევსურმა მქსოველებმა. ახლახან აღორძინებული მთის სოფლის ამგის მცხოვრები ციცკა ჯაბუშანური, თერთმეტი შვილის მამა და თორმეტი შვილიშვილის პაპა ამბობს:

— ჩვენი სოფელი საქართველოს ჩრდილოეთში, ზღვის დონიდან 2 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ოდესღაც მიტოვებული სოფელი, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მზრუნველობის მეოხებით აღორძინების გზას დაადგა. აქ დაბრუნდნენ ადამიანები, კვლავ აგიზგიზდა სახლებში კერა. ოჯახმა შეიძინა პირუტყვი, შენდება სკოლა, საცხოვრებელი სახლები. სკოლაში მასწავლებლად ჩემი შვილი ლევანიც იმუშავებს. ჩემთვის „მოსავლის დღესასწაული" ამგის მომავალი მოსავლის დღესასწაულია.

დღესასწაული თბილისში ფოიერვერკმა დააგვირგვინა.

(საქინფორმი).

ჯ. ლომაძისა და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ასამოქმედებელ ობიექტებზე

გიგანტი შავი ზღვის ლაჟვარდში

ნარკვევი

მშენებლობის უფროსთან საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ძირითადი მონაცემები ჩავინიშნე, სამუშაოთა განრიგს გადავავლე თვალი და ვთხოვე მასპინძელს — დღის ბოლომდე სამშენებლო უბნები შემოგვევლო.

... და აი, ჩვენ უკვე, რკინისა თუ ფოლადის ამ აყინწული ხორთუმების ტევრში ვართ.

მონუსხულივით ვდგავართ. ორას ჰექტარ ფართობზე გაშლილ მშენებლობის ფრონტს გავყურებ და ვფიქრობ: ნეტავ, ვის აღეძრა პირველად აზრი იმისა, რომ აქ — მიწისქვეშა თერმული წყაროებით მდიდარი საბადოების მახლობლად, ოდითგან უნაყოფო, უდაბნო ნიადაგებად მიჩნეულ ამ ხირხატებზე ჩაჰყროდა საძირკველი სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის ისეთ უნიკალურ, საშვილიშვილო ნაგებობებს, როგორიც ეს უზარმაზარი მეფრინველეობის კომპლექსია!

ინჟინერი ვალერი გერია გუმანით ხვდება ჩემი წუთიერი გარინდების მიზეზს. ყინჩად ყელმოღერილი შემომცქერის. ილიმება. და მის ღიმილში მე აშკარად ვკითხულობ: „აბა, რა გგონიათ! ხედავთ, რა დიდ საქმეს ვეჭიდებით!"

ვალერი ენამზეობს. თითქმის ზეპირად ფურცლავს მშენებლობის ექსპლიკაციის წიგნს.

დრო კი გრძელი საუბრის საშუალებას არ გვაძლევს. აგერ, მზე გადაიწვერა და მე ჯერაც არავინ მინახავს იმათგან, ვინც თავისი მარჯვენით, დაძარღვული ხელებით აშენებს ამ ვეება კაპიტალურ ნაგებობებს, ამონტაჟებს, სრულყოფს, დაუვიწყარ ფურცლებს წერს მეთერთმეტე ხუთწლედის შრომით მატიანეში.

— ნუ ჩქარობთ, — კვლავ ილიმება ვალერი, —ასეთ ადამიანებს რა გამოლევს აქ, ისინი ყოველ ნაბიჯზე არიან!

მშენებლობის ცენტრალურ ზონას ვუახლოვდებით. ეს ის ზონაა, სადაც სხვადასხვა მოცულობის, ზომისა თუ დანიშნულების ორმოცამდე ნაგებობის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

მთელი მშენებლობა რვა ზონად არის დაყოფილი. თითოეული მათგანი ცალკე ავტონომიას მოგაგონებთ და ამავე დროს აუცილებელი, განუყოფელი რგოლია კომპლექსის ერთიანი ჯაჭვისა.

ძნელია განსაზღვრო, რომელ ზონას, რომელ რგოლს ენიჭება მთავარი როლი ხორცისა და კვერცხის წარმოებაში. თუმცა, ის კი კარგად იციან აქ, რომ პროექტით მშენებლობის მთლიანად დამთავრებისა და ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მისი საწარმოო სიმძლავრე წელიწადში უნდა იყოს რვა მილიონზე მეტი სახორცე ვარია, 44,2 მილიონი ცალი კვერცხი და შესაბამისი ოდენობის სხვა თანამდევი პროდუქტები.

ეს დიდი ამოცანაა. ამ სახეობისა და რაოდენობის პროდუქციის შესაქმნელად მყარი, მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე აღჭურვილი მატერიალური ბაზაა აუცილებელი. ეს იციან მშენებლებმა. იციან ისიც, რომ პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად პარტიის მიერ დასახული ყოველი ასეთი ამოცანა არა მარტო ეკონომიკური, არამედ აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაც არის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ხომ ნათლად ითქვა, რომ თანამედროვე ეტაპზე მაქსიმალური ყურადღება უნდა დაეთმოს აგროსამრეწველო კომპლექსის იმ ობიექტების დროულ ამოქმედებას, რომლებიც საშუალებას იძლევიან მოკლე ვადაში მივაღწიოთ კვების პროდუქტების წარმოების უდიდეს მატებას. ეს ობიექტები ჩვენს ქვეყანაში დამკვრელურ მშენებლობებად არის მიჩნეული.

ასეთი ობიექტია ოჩამჩირის რაიონის კინდღის მეფრინველეობის კომპლექსიც.

... ჩვენს მარცხნივ, რომელიღაც ზონის გასწვრივ, ერთნაირი სიდიდის, ზომისა და კონსტრუქციის ოცდათერთმეტ კორპუსს ვითვლი. ტყვიისფრად ელვარე ეს ნაგებობანი ისე ბრწყინავენ მზის ალმაცერ სხივებზე, როგორც ზღვის სილურჯეში რეიდზე მწყობრად გასული ხომალდები.

მშენებარე კორპუსის წინ, გაურანდავი ფიცრებისაგან სახელდახელოდ გაწყობილ მაგიდაზე ბრგე აღნაგობის ვაჟკაცს დაუხრია თავი. ნახაზებს ჩაჰკირკიტებს.

— გამარჯობა რეზო, რა გაგჭირვებია? — ეხმიანება ვალერი.

— ღმერთმა ნურაფერი გაგვიჭირვოს. მაგრამ აი, ეს განგარიშება არ მომწონს. მაჭვევს! — წითელი ფანქრით შემოხაზულ ციფრებს უჩვენებს ინჟინერს და თაფლისფერი, დიდრონი თვალებით შემომცქერის.

ვიცანი. ეს ახოვანი ვაჟკაცი რევაზ კუციაა, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი. მე ის მოწინავე მშენებელთა რესპუბლიკურ თათბირზე ვნახე. იქიდან მახსოვს.

ამ მინდვრებში რომ პირველი ბულდოზერები გამოჩნდნენ და საძირკვლის ჩასაყრელად მიწის თხრას შეუდგნენ, იმ დღიდან ჩაუდგა რევაზ კუცია სათავეში მუშათა პატარა კოლექტივს.

დრომ თავისი გაიტანა. პატარა კოლექტივი გაიზარდა, განმტკიცდა, მძლავრ კომპლექსურ ბრიგადად იქცა. ეს ბრიგადა ახლა ტონს აძლევს მთელ მშენებლობებზე იჯარული წესით მომუშავე ბრიგადებს.

ხელფასის ანაზღაურებისა და იჯარული შრომის ზოგიერთ დეტალზე ვმსჯელობდით, 75-ე მოძრავ-მექანიზირებული კოლონის მთავარი ინჟინერი ალექსანდრე ეშბა რომ შემოგვიერთდა.

— რევაზ კუციას და კონსტანტინე ნიკოპოლიდის კომპლექსური ბრიგადები, — ჩაერთო იგი საუბარში, — ოქროს ფონდია ჩვენთვის. ეს ბრიგადები აქტიურად მოქმედი კოლექტივებია, სადაც ჯერ ერთი, მტკიცედ არის დანერგილი ჭეშმარიტად კომუნისტური შრომის ჩვევები და, მეორეც, წლების მანძილზე ისინი მუშათა აღზრდის, დახელოვნების, დაოსტატების ნამდვილ სამჭედლოდ გვევლინებიან.

მთავარი ინჟინრის ამ სიტყვებმა უნებურად მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილი ის აზრი აღმიდგინა და გამახსენა, რომელიც შრომის ბრიგადული ორგანიზაციის შესახებ ლ. ი. ბრეჟნევმა განავითარა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვაში.

შრომის ბრიგადული ორგანიზაცია და სტიმულირების ახალი ფორმები, გვასწავლის ლეონიდ ილიას ძე, ზრდიან წარმოების ეფექტიანობას, ამავე დროს სავსებით შეესაბამებიან პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას თანამედროვე ეტაპზე. ერთიანი განაწესით მომუშავე კომპლექსურ ბრიგადებში მნიშვნელოვნად იზოგება დრო, შრომითი და მატერიალური რესურსები. იქ უფრო მტკიცეა დისციპლინა. მეტია ხელფასი, უფრო მალე ოსტატდებიან ახალგაზრდა მუშები. ცხადია, მეტია შრომის ნაყოფიერებაც.

თვით ცხოვრება, თვით პრაქტიკა ადასტურებს ამ აზრის სიმართლეს, მის ცხოველმყოფელობას.

ალექსანდრე ეშბა სიტყვას აგრძელებს. შინაგანი კმაყოფილების განცდით ასახელებს მუშებს, რომლებიც ამ კომპლექსურ ბრიგადებში აღიზარდნენ, ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა პროფესიის ოსტატებად. მაგრამ მე მაინც კუციაზე ვფიქრობ, მასთან საუბრისაკენ მიმიწევს გული:

— ამხანაგო რეზო, ადრე სხვა დიდ მშენებლობაზეც გიმუშავიათ. გამოცდილება არ გაკლიათ. თქვით ორიოდე სიტყვით, რა სიახლეს ხვდებით აქ და რა გავლენას ახდენს იგი როგორც თქვენი ბრიგადის, ისე მშენებლობის საერთო საქმეზე?

ბრიგადირი დუმს. არაფერს ამბობს. ალექსანდრე ეშბასკენ აპარებს თვალს.

— ჩემზე უკეთესად მაგას ინჟინრები იტყვიან. მე მუშა ვარ. რასაც მავალებენ, იმას ვაკეთებ! — უარობს. მაგამ არ ვეშვები:

— დავალება ადვილია. შესრულებაა თავიდათავი. სწორედ შემსრულებლის აზრი მინდა ვიცოდე!

გატყდა ბრიგადირი. წინ წაგვიძღვა. გვანიშნა, იმ ახლად გადახურულ კორპუსში შევიდეთო.

შევყევით.

96 მეტრი სიგრძისა და 18 მეტრი სიგანის კორპუსი მთლიანად ლითონისაა. რას შევადარო ეს უცნაური შენობა, არ ვიცი.

— აი, ხომ ხედავთ, — მიხსნის ბრიგადირი, — ყველაფერი მზა კონსტრუქციებითაა დამონტაჟებული. კორპუსის კარკასი რკინისაა. კედლებად მჩატე ფოლადის კონსტრუქციებია ჩადგმული. ეს დანადგარები კი უფრო რთული ინდუსტრიული ნაწარმია. მშენებლობაზე დანერგილ სიახლესა და პროგრესულობაზე თუ რაიმეს ვიტყვით, უთუოდ უნდა გავიხსენოთ, რომ კომპლექსის მშენებლობა თავიდან დაპროექტებული იყო ჩვეულებრივი რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

მაგრამ შრომის ბუნება ღრმა, მდიდარი და ამოუწურავია. შრომაში იბადება, შრომაში შლის ფრთებს ახალი ნააზრევი, ახალი ინიციატივები, რომლებიც ზოგჯერ ძვირადღირებულ გამოგონებათა ტოლფასია. ამგვარი ინიციატივის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ის, რომ მშენებელთა კოლექტივის, უშუალოდ სასოფლო მშენებლობის მინისტრის იოსებ ხარატიშვილის მოთხოვნით ეს პროექტი გაკეთდა: რკინაბეტონის კონსტრუქციები ლითონის პროგრესული კონსტრუქციებით შეიცვალა.

— ამ ცვლილებამ, — განაგრძობს ბრიგადირი, — ძირფესვიანად გარდაქმნა შრომის ორგანიზაციაც. მშენებლებს ჩქაროსნული, კიდევ უფრო ნაყოფიერი შრომის პირობები შეგვიქმნა. ჩემი აზრით, სიახლისა და პროგრესულობის ერთ-ერთი სიკეთე აქ უნდა ვეძიოთ.

სოფლის მშენებელ სპეციალისტთა კიდევ ერთ პროგრესულ, სასარგებლო ინიციატივას ეყრება აქ საძირკველი. მათ შეისწავლეს, გაიანგარიშეს, გამონახეს რეზერვები იმისათვის, რომ კომპლექსის სიმძლავრე, რომელიც პროექტით წელიწადში 8,3 მილიონ სახორცე ვარიას ითვალისწინებს, 10 მილიონამდე გაიზარდოს. ეს პრობლემაც ფუნდამენტურად მუშავდება, მას მხარს უბამენ პარტნიორები.

ბრიგადირი საშური სიზუსტითა და ლაკონურობით ხატავს, თუ როგორ გაიზარდა მშენებლობის ტემპი, [illegible].

სადღეისოდ [illegible] სარემონტო ზონაშიც მშენებლები ძირისძირობამდე არიან ჩამწვდარი მათ წინაშე დასახული სადღეისო, თუ სამომავლო ამოცანების სიღრმეში. ამ ამოცანების შესრულებაზეა სწორედ დამოკიდებული კომპლექსის დროული, თუ ვადაზე ადრე ამოქმედება.

მტკიცედ არის გადაწყვეტილი, რომ კომპლექსის პირველი რიგის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდეს. მაგრამ მშენებლებს აქვთ თავიანთი შემხვედრი გეგმაც. ისინი ხომ აქტიურად არიან ჩაბმული სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში!

და იქმნება ყველა პირობა, რომ კომპლექსის ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებსაც პირველი რიგის სამუშაოები ითვალისწინებს, ამოქმედდეს ერთი წლით ადრე. ეს კი, ციფრების ენით რომ ვილაპარაკოთ, ნიშნავს: რესპუბლიკის მოსახლეობამ ერთი წლით ადრე უნდა მიიღოს კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკიდან 4,1 ათასი ტონა ხორცი და 1,4 მილიონი ცალი კვერცხი.

აი, როგორ ასხამენ ხორცს სოფლის მშენებლები ხალხის საკეთილდღეოდ პარტიის მიერ შემუშავებულ სასურსათო პროგრამას!

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „საქსოფლმშენპროექტის" მუშაკთა შესახებ თამამად უნდა ითქვას, რომ მათ აღმოაჩნდათ მეცნიერულ-ტექნიკური ძიების, კვლევისა და მიგნების ის უნარი, რომლის საფუძველზედაც დადგინდა კინდღის მეფრინველეობის კომპლექსის მშენებლობა წარემართათ ახალი, პროგრესული კონსტრუქციებით და ორ რიგად. ამ გაბედული ნაბიჯის ნაყოფი ახლა ყველასათვის ნათელია.

ერთი წლით ადრე კომპლექსის ამოქმედება ეკონომიკური ეფექტის სახით სახელმწიფოს დამატებით მისცემს სულ ცოტა 7 მილიონ მანეთს, და ეს დრო შორს აღარ არის. კიდევ რამდენიმე დაძაბული დღე და კომპლექსის პირველი რიგი მწყობრში ჩადგება. ახლა ეს არის მშენებელთა უკეთილშობილესი მისწრაფება, ფიქრი, ოცნება, მთავარი საზრუნავი. ეს განწყობილება, ეს ენთუზიაზმი ერთნაირად იკითხება შრომაში ჩაბმული თითოეული ადამიანის საქმიანობაში — გენერალური მოიჯარის — 75-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსით ანზორ ფრუიძით დაწყებული და რიგითი მუშით დამთავრებული.

არ შეიძლება ადამიანს კანონიერი სიამაყისა თუ სიხარულის გრძნობა არ დაეუფლოს, როცა ხედავს, რომ აქ, კომპლექსის ამ მშენებლობაზე თხუთმეტი ეროვნების წარმომადგენელი ღვრის ოფლს. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენლები. აქ ნახავთ სოხუმის, გაგრის, ოჩამჩირის, საგარეჯოს, წულუკიძის, მაიაკოვსკის, კრასნოდარის ოლქის, ერევნის, ამბროლაურის, ტყიბულის, წალკის რაიონებიდან მოსულ მშრომელებს.

კომპლექსის მახლობლად, საწარმოო დანიშნულების ნაგებობათა პარალელურად აშენდება და დამკვიდრდება თანამედროვე ტიპის კეთილმოწყობილი დასახლება. აქ შავი ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზე უნდა დასახლდეს, იცხოვროს, კომპლექსის განყოფილებებში იმუშაოს 500-ზე მეტმა ადამიანმა. მათ ექნებათ მუდმივი სამოღვაწეო ასპარეზი. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ბევრ ახალგაზრდას გამოუწევს აქეთკენ გული, ბევრი მათგანი შექმნის აქ ბედნიერ ოჯახს, ბევრი მათგანი გახდება ჩვენი სამშობლოს ამ ულამაზესი კუთხის მკვიდრი.

მშენებლობის ხელმძღვანელები პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური დახმარებითა და თაოსნობით წარმართავენ იდეურ-აღმზრდელობითს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ადამიანებთან. ამის მეოხებით ობიექტზე შეიქმნა, ჩამოყალიბდა ერთსულოვანი, ძმური, სტაბილური შრომითი კოლექტივი.

კინდღის მინდვრებში აჩონჩხილი ამწეების ტევრი თანდათან ფერს იცვლის, თხელდება. ათობით ნაგებობას უკვე მოეხსნა იგი. მალე ამოქმედდება პირველი რიგის სიმძლავრეები. მაგრამ მშენებლებს კვლავ დიდი გზა აქვთ გასავლელი. მეორე რიგის სამუშაოებიც ერთი წლით ადრე უნდა დაამთავრონ. ეს არის ალალი, მუშური პირობა და მას ვერაფერი შეარყევს.

... მზე დასალიერს უახლოვდება. შავი ზღვის მოსარკულ ჰორიზონტზე ვეშაპებივით წვანან მეწამული ღრუბლები.

მთავარი ინჟინერი ჰორიზონტს გაჰყურებს.

— ხვალაც კარგი დღე იქნება. თუ ასეთი ამინდები გაგვიგრძელდა, ბევრად წავაგდებთ წინ საქმეს!

ინჟინრის სიტყვებზე ჩვენებური მევენახეები მახსენდება, გამუდმებით ცას რომ ზვერავენ.

მშენებლებსაც ჰქონიათ, თურმე, ეს ჩვევა!

გ. ბოგველიშვილი.

სამეცნიერო სესია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. იგი მოეწყო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან ერთად.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ნ. მერკვილაძემ თავის მოხსენებაში „სსრ კავშირის შექმნა — სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ლენინური იდეების ზეიმია" ილაპარაკა იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანა ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში, ამიერკავკასიაში პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებასა და საქართველოს სს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

თავის მოხსენებაში „სსრ კავშირის საბჭოების პირველი საკავშირო ყრილობა საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ბოლო ეტაპია" ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მ. მახარაძემ ილაპარაკა ყრილობის მუშაობაზე.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაობა გააცნო სესიის მონაწილეებს საექსკურსიო ბიუროს გამგემ ნ. ავალიანმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის ვეტერანები.

(საქინფორმი).

შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სამუშაო ვიზიტად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით, 1 ნოემბერს შეხვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

საუბრის დროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა სტუმარს გააცნეს საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, შრომითი მიღწევები, რომლებითაც საბჭოთა საქართველო ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65 წლისთავსა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

სტუმარს ესაუბრნენ რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ.

საუბარში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, სსრ კავშირის ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში ს. ტ. ასტავინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ი. ანდრეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ი. მინაკოვი; კვიპროსის მხრივ — კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. როლანდისი, კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მინისტრი კ. მიხაილიდისი, კვიპროსის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ა. ანგელიდისი, კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. მარკიდისი, კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოლიტიკური კანცელარიის დირექტორი ხ. ვოვიდისი, კვიპროსის რადიომაუწყებლობის კორპორაციის გენერალური დირექტორი ა. ქრისტოფიდისი, კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ე. იპსარიდისი.

იმავე დღეს ს. კიპრიანუ გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

კვიპროსის სახელმწიფოს მეთაურმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი გამარჯვების პარკში. (საქინფორმი).

ნათელი, მადლიანი ხელოვნება

უკრაინელი მხატვრის — არქიტექტორ ლუდმილა მეშკოვას შემოქმედებას გვაცნობს გამოფენა, რომელიც თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა. ვერნისაჟზე წარმოდგენილია ათობით ნაწარმოები — კერამიკა, დეკორატიული პანოები, რომლებიც გარე სამყაროსადმი ხელოვანის კეთილი გრძნობით არის განმსჭვალული და ავტორის მხატვრული აზროვნება აღუბეჭდავთ. ლირიზმით, ფაქიზი პოეტურობით გამოირჩევა ეს ნამუშევრები. მხატვარი სრულყოფილად ფლობს შესრულების მაღალ ტექნიკას და ქმნის შთამბეჭდავ პლასტიკურ სახეებს, რომელთაც ახასიათებს უხვი ფერთა გამა, ამოუწურავი ფანტაზია, თავისთავადი ხელწერა.

ყოველი ექსპონატი ადამიანთა ბედნიერების, მშვიდობის, მეგობრობის აზრით არის განმსჭვალული. ნათელი და სადღესასწაულოა პორტრეტების გალერეაც — შემოქმედი, ამშენებელი ადამიანის საგალობელი.

ლ. მეშკოვა ავტორია მთელი რიგი ინტერიერების და მონუმენტურ-დეკორატიული პანოებისა,

[illegible]

კერამიკის შესაძლებლობანი, — თქვა ლ. მეშკოვამ. — იგი ერთდროულად ითავსებს გრაფიკას, ქანდაკებას, ფერწერას და შემოქმედებითი აღმაფრენის უხვ მასალას იძლევა...

როცა კიეველი მხატვრის ნამუშევრებს ეცნობი, ჭეშმარიტად გრძნობ იმ სწორუპოვარ მშვენიერებას, რომელიც შედეგია ოთხი პირვანდელი სტიქიის — მიწის (თიხა), წყლის, ჰაერისა და ცეცხლის შეხამებისა მეხუთე სტიქიონთან — შემოქმედის ცნობიერებასთან.

უკრაინელი კერამისტის ექსპოზიცია შევიდა გამოფენების სერიაში, რომლებსაც საქართველოს მხატვართა კავშირი აწყობს დევიზით „ხალხთა მეგობრობა". უკრაინის მხატვართა კავშირთან ერთად ორგანიზებული ახლანდელი ვერნისაჟი ეძღვნება ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს დაბადების დღეს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ლუდმილა მეშკოვას შემოქმედების, ქართველ და უკრაინელ სახვითი ხელოვნების ოსტატთა თანამშრომლობის შესახებ ილაპარაკეს ვერნისაჟზე საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. გუნიამ, საქართველოს სახალხო მხატვარმა თ. სამსონაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვრებმა მ. ყიფიანმა და ე. კალანდაძემ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოძმე რესპუბლიკების, საქართველოსა და უკრაინის ექსპოზიციების გაცვლა ტრადიციად დამკვიდრდა. ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა შემოქმედებითი თანამეგობრობა ამდიდრებს ხელოვანთა პალიტრას,

[illegible]

ვერნისაჟზე გამოსულმა ლუდმილა მეშკოვამ გულითადი მადლობა გადაუხადა ქართველ მეგობრებსა და კოლეგებს, რომლებმაც შესაძლებლობა მისცეს მოეწყო თავისი ნამუშევრების გამოფენა თბილისში სწორედ იმ დღეებში, როცა რესპუბლიკის დედაქალაქი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

მშვიდობის ძლიერი ფაქტორი

მსოფლიო საზოგადოებრიობა, საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, რომ სიტყვა, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელი შემადგენლობის თათბირზე და კვიპროსის პრეზიდენტის ს. კიპრიანუს პატივსაცემად კრემლში გამართულ სადილზე, ახალი დამაჯერებელი დასტურია ლენინის ანდერძის სულისკვეთების შესაბამისი მშვიდობის პროგრამის განუხრელი და აქტიური განხორციელებისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან სიტყვებში, წერს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო", ღრმად არის გაანალიზებული ახლანდელი შემაშფოთებელი საერთაშორისო ვითარება, რომელსაც იმპერიალისტური ძალები სულ უფრო ამწვავებენ, დამაჯერებლად არის დასაბუთებული საბჭოთა კავშირის პოზიცია. ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ დაადასტურა, რომ სსრ კავშირი არ გადაუხვევს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ მოიწონა, და განაცხადა, რომ მისი შეიარაღებული ძალები კვლავაც მოგვევლინებიან მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, აგრესორთა ძალების ალაგმვის მძლავრ ფაქტორად.

„ურთიერთგაგების ვითარებაში. არსებითი და შედეგიანი მოლაპარაკება" — ამ სათაურით აქვეყნებს კვიპროსის „ელეფთეროტიპია" პირველ გვერდზე მოსკოვიდან მიღებულ კორესპონდენციას, რომელშიც მოყავს კვიპროსის პრეზიდენტის ს. კიპრიანუს გამონათქვამი, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბრისას სსრ კავშირში თავის ვიზიტს უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო უწოდა.

გაზეთი მიესალმება სსრ კავშირის პოზიციას კვიპროსის საკითხში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა.

ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ აღნიშნა, თუ რაოდენ საჭირო და [illegible] ცილებელია გადაიქცეს ხმელთაშუაზღვისპირეთი მშვიდობისა და უშიშროების რაიონად, წერს სირიის „ტიშრინი". საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში მდგომარეობა სულ უფრო შემაშფოთებელი გახდება, თუ განხორციელდა ნატოს ავანტიურისტული გეგმები და განლაგდა იტალიის ტერიტორიაზე, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებანი. ლ. ი. ბრეჟნევმა დაადასტურა, რომ სსრ კავშირი ერთგულია ჰელსინკში დაწყებული დაძაბულობის შენელების სრულიად ევროპის პროცესისა, და გამოთქვა რწმენა, რომ სრულიად ევროპის მადრიდის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრამ შეიძლება კვლავ გაარკვიოს პოლიტიკური პერსპექტივები ევროპაში, ჩაუსახოს ხალხებს იმედი, რომ დაძაბულობის შენელების პროცესი სასიკეთოდ წარიმართება.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს: საბჭოთა ხელმძღვანელმა შეერთებულ შტატებს ბრალად დასდო, რომ მან უმაგალითო დონემდე გააძლიერა თავისი სამაარი სამზადისის ინტენსიურობა და რომ თავისი აგრესიული პოლიტიკით მსოფლიოს ბირთვულ ომის ხანძარში უპირებს გახვევას. და განაცხადა — „ჩვენი გზაა დაძაბულობის შენელება და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება. ჩვენ მას არასოდეს არ გადავუხვევთ". გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დაგმორა რეიგანის ადმინისტრაციის სამხედრო უპირატესობის მოპოვების გზები, ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ყოვლად დაუშვებელია სსრ კავშირის ჩამორჩენა სამხედრო-ტექნიკურ სარბიელზე ბრძოლაში. ჩვენ მიგვაჩნია, მოჰყავს გაზეთს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ ჩვენი მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები ყველაფერს იღონებენ, რათა ამასთან დაკავშირებული ამოცანები წარმატებით გადაწყდეს.

● პორტუგალია

კონსტიტუციის გადასინჯვის წინააღმდეგ

ლისაბონი. პორტუგალიაში 30 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა შესწორებები 1976 წელს მიღებული კონსტიტუციისა, რომელმაც განამტკიცა პორტუგალიელი ხალხის ძირითადი რევოლუციური მონაპოვრები. პორტუგალიის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენას ბოლო უნდა მოეღო 1974 წლის აპრილის რევოლუციის მიერ დაწყებული ეგრეთ წოდებული „დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ გარდამავალი პერიოდისათვის" და ახალი ეტაპი დაეწყო ქვეყნის განვითარებაში.

ამავე დროს, პორტუგალიის კომპარტიას და სხვა დემოკრატიულ ძალებს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკის კრებაში განხორციელებული კონსტიტუციის რევიზია, რომლის წინააღმდეგაც ხმა მისცეს კომუნისტებმა, მმართველი მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიციის იმ გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს მთელი უმნიშვნელოვანესი პროგრესული მონაპოვრების ლიკვიდაციას.

როგორც ცნობილია, კონსტიტუციის შესწორებები მოიმის გამო, რომ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი სოარეშის მეთაურობით, დაეხმარა მმართველ მემარჯვენე ცენტრისტულ უმრავლესობას ისინი არსებითად ც[illegible] სახელმწიფო ხელისუფ[illegible] სტრუქტურას. რევიზიის ად გაუქმდა პრეზიდენტთა[illegible] ბული უმაღლესი საკონსულ[illegible] ორგანო — რევოლუციური[illegible] რომელიც მთელი ამ წლ[illegible] ნძილზე ძირითადი კანონის დაცვის გარანტი იყო, აგრეთვე სერიოზულად შეიზღუდა სახელმწიფოს მეთაურის სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები.

რევოლუციური საბჭოს ბოლო სხდომაზე მიღებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ აპრილის რევოლუციამ პორტუგალიელ ხალხს გაუხსნა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის გზა.

კონსტიტუციის გადასინჯვა, აღნიშნულია დოკუმენტში, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

● იტალია

მასობრივი მანიფესტაცია

რომი. „მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისათვის, დემოკრატიული ინსტიტუტების დასაცავად" — ამ ლოზუნგებით გაიმართა რომში მასობრივი მანიფესტაცია, რომელიც მოეწყო იტალიელი პარტიზანების ეროვნული ასოციაციის, პოლიტიკური დევნის მსხვერპლ ანტიფაშისტთა ეროვნული ასოციაციის, სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების ინიციატივით. მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად იტალიის ყველა კუთხიდან ჩამოვიდა ათასობით ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების ტუსაღები, პარტიზანები, ქალაქის მერები.

ომის ვეტერანებმა ყველა კეთილი ნების ადამიანს, სახელმწიფოებს, საერთაშორისო საზოგადოებრიობას მიმართეს მოწოდებით გააქტიურონ მშვიდობისათვის ბრძოლა, არ დაუშვან მეორე მსოფლიო ომის საშინელების გამეორება.

ფოტოფაქტი



საერთაშორისო დღევანდელის ჟურნალი ცნობები

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

1 ნოემბერი

უარყოფენ მონაჭორს

კამპუჩიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პნომპენი. კამპუჩიის საგარეო საქმეთა ს[illegible] ტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ ყოვლად დ[illegible] შვებელია გაერთიანებული ერების [illegible] განიზაციამ განიხილოს ეგრეთ წოდებული „კამპუჩიის საკითხი".

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, — ნათქვამია განცხადებაში, მიაჩნია, რომ აღმაშფოთებელი უკანონობაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პოლპოტელებისა და მათი დამქაშების წარმომადგენელთა ყოფნა.

დოკუმენტში უარყოფენ საერთაშორისო რეაქციის მიერ დაყრილ ჭორებს, თითქოს, კამპუჩიის მდგომარეობა და ამ ქვეყანაში ვიეტნამის ჯარების ყოფნა იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაძაბულობის მიზეზი. ეს პროვოკაციული მონაჩმახი, ხაზგასმულია განცხადებაში, მიზნად ისახავს არ დაანებოს კამპუჩიელ ხალხს აშენოს ახალი ცხოვრება კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელიც ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით შეიქმნა.

მილიტარისტული ფსიქოზი

ამერიკის შეერთებული შტატები არ წყვეტს სახიფათო „იარაღის ჟღარუნს", ემზადება საზღვარგარეთ აგრესიული ავანტიურებისათვის. პენტაგონისათვის გამოყოფილ კოლოსალურ სახსრებს ამერიკის მხედრიონი ყველა სახის სტრატეგიული რაკეტულ-ბირთვული ძალების გაფართოების, სამხედრო-საზღვაო ძალების წყალქვეშა საბრძოლო ხომალდების რიცხვის ზრდის, ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და სპარსეთის ყურეში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონში ამერიკის სამხედრო ყოფნის გაძლიერებისათვის იყენებს.

სურათზე: ასეთი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის მეშვეობით გადაჰყავთ ამერიკელი ჯარისკაცები ნავთობით მდიდარ სპარსეთის ყურის რაიონში.

საქდესის ფოტო.

რეპლიკა

სული მოითქვით, ცილისმწამებლებო!

როგორც ჩანს, ესპანურმა ჟურნალმა „ინტერვიუმ", რომელიც დაიღალა მკვლელობებზე, გაუპატიურებებსა და კატასტროფებზე რეპორტაჟების ბეჭდვით, გადაწყვიტა მკითხველები ახალი სენსაციური მასალებით დაეინტერესებინა. ამას წინათ მის ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც „დამაჯერებლად" არის მოთხრობილი იმის თაობაზე, თუ „როგორ ატარებენ შვებულებას რუსები". თურმე, ნუ იტყვით, ისინი... არ ისვენებენ!

ასეთი დასკვნის გამოტანაში „გამჭრიახ" ჟურნალისტებს, როგორც ჩანს, რუსული ენის „არაჩვეულებრივი" ცოდნა დაეხმარა. აი, რას წერენ ისინი: სიტყვას „დასვენებას", რომელსაც (საბჭოთა კავშირში) შვებულების პერიოდს უწოდებენ, „სულის მოთქმის" მნიშვნელობა აქვს, სხვანაირად რომ ვთქვათ, განმარტავს „ინტერვიუ", ეს ნიშნავს სულის მოთქმას „არსებობისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში".

მართლაც, ყველაფერი ეს ცხადია, სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ავტორებს მოქმედების ადგილი აერიათ. სწორედ რომ სსრ კავშირში თითოეულ მოქალაქეს კონსტიტუციით გარანტირებული აქვს შრომის, დასვენებისა და განათლების უფლება. ხოლო კაპიტალურ სამყაროში ზოგიერთებ[illegible] ცხოვრება მუდმივი ზე[illegible] ერთებისათვის — ყო[illegible] ღიური ბრძოლა არსებობისათვის, სამუშაო [illegible] ლისათვის.

...ეს მ[illegible] ეტაფეში. მადრიდიდან ს[illegible] ხუთი წუთის სავალზე. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა, რომ სჭირდებოდათ 13 დამლაგებელი. ოჰო, რა დიდი ამბავი მომხდარაო, იტყვით თქვენ. მაგრამ საქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის 13 რიცხვი, მართლაც რომ, საბედისწერო გახდა. საქმე ის გახლავთ, რომ განცხადებას ერთბაშად... ექვსი ათასი ქალი გამოეხმაურა. შექმნილი ძნელი მდგომარეობიდან გამოსავალი რომ ენახათ, მუნიციპალიტეტის მოხელეებმა [illegible] ატესობანი მიანიჭეს ყველაზე ლატაკებისათვის. ვერც ამან უშველა, ასეთი 500 აღმოჩნდა. მეტწილად უმუშევართა ცოლები, მრავალშვილიანი დედები... ხეტაფეში მომხდარი ამბავი ერთეული შემთხვევა არ არის დღევანდელ ესპანეთში, სადაც ორი მილიონი „ზედმეტი" ადამიანი იმყოფება იძულებით ხანგრძლივ „შვებულებაში".

აშკარად გაღიზიანებული წერს ჟურნალი საბჭოთა კავშირში მასობრივ დასვენებაზე და, პირიქით, საქებარ სიტყვებს არ იშურებს, როცა რევოლუციამდელ რუსეთში არისტოკრატთა „პრესტიჟულ" მოგზაურობებს იხსენებს. მივმართოთ სტატისტიკას: რევოლუციამდელ წლებში რუსეთის კურორტებზე დამსვენებელთა შორის მემამულეები, თავადაზნაურობა შეადგენდა 41,9 პროცენტს, ბურჟუაზია — 21,8, მეფის არმიის ოფიცრობა — 10,5, უმაღლესი სასულიერო პირები და მოხელეები — 25,8. რიგითი მშრომელებისათვის კი „მზის ქვეშ" ადგილი არ იყო.

ის დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს არავის აკვირვებს ის ფაქტი, რომ საუცხოო კურორტებზე, ვთქვათ, ყირიმში ან კავკასიაში, შეხვდებით მეშახტესა და მეცნიერს, ინჟინერსა და კოლმეურნეს. ეს ცხოვრების ნორმად იქცა. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო ხუთ წელიწადში დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებსა და პანსიონატებში დაისვენა 260 მილიონმა საბჭოთა ადამიანმა. ალბათ, ესპანეთის მასშტაბითაც კი, სადაც „დასვენების ინდუსტრია" ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, ეს არც ისე ცოტაა.

განა დრო არ დადგა, რომ ანტისაბჭოურობის შეთხზვის ვირტუოზებმა „სული მოითქვან" ცილისწამებისაგან, იქნებ, მაშინ მაინც მოუვიდეთ თავში ჭკვიანური აზრები?

ახალი ამბების სააგენტო.

● ეგვიპტე

დააპატიმრეს ი. სადათი

კაირო. წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს ეგვიპტის მოკლული პრეზიდენტის ძმა, მილიონერი ისმათ სადათი. ეგვიპტის გენერალურმა პროკურატურამ, რომელიც მისი მრავალმილიონიანი ქონების დაგროვების არხებს იძიებდა, ისმათ სადათს ბრალად დასდო მრავალი ფინანსური და სავაჭრო მაქინაციის ჩადენა, რომლებმაც ეგვიპტის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. მულტიმილიონერს ბრალად ედება აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა და მითვისება, ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტთან ნათესაური კავშირის ანგარების მიზნით გამოყენება.

ი. სადათის და მისი ოჯახის ქონებას ყადაღა დაადეს, ხელისუფლებამ აკრძალა ი. სადათის საქმის გამოძიების მასალების გამოქვეყნება.

შემთხვევა

შერკინება ნადირთა მეფესთან

მაპუტუ. ბევრი ვერ დაიკვეხნის, რომ ლომთან უიარაღოდ შერკინებული გამარჯვებული გამოსულიყოს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნული პარკის მახლობლად მდებარე ფერმის 80 წლის მუშას ენტონი ტიბანს მიაჩნია, რომ მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. მას ამის თქმის სრული უფლება აქვს, წერს იოჰანესბურგის გაზეთი „სტარი".

გვიან ღამით, შინ რომ ბრუნდებოდა, ტიბანს უცებ მხეცის შემზარავი ღრიალი შემოესმა და მაშინვე დაბურული ბუჩქნარიდან მას ლომი დაეძგერა. მტაცებელმა ტიბანი მიწაზე დასცა. და ამ დროს იღბლად ტიბანმა გასასვავებული ხელით ქვა მოძებნა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ლომს თავში ჩასცხო და... თვალში მოახვედრა. ტკივილისაგან გამწარებული ნადირთა მეფე მსხვერპლს შეეშვა და ღრიალით ბუჩქნარში გაუჩინარდა.

მიუხედავად ღრმა ჭრილობებისა, ტიბანმა ძალა მოიკრიბა და ფერმამდე მივიდა, იქიდან კი სასწრაფოდ საავადმყოფოში მოათავსეს.

პოლიტიკური მეცნიერება და პოლიტიკური ურთიერთობანი თანამედროვე მსოფლიოში

პოლიტიკური ურთიერთობანი და პოლიტიკური პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიულ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობათა აღმავლობის ნიშნით მიმდინარეობს. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავებამ და ახალმა სიძნელეებმა თავისი გავლენა მოახდინა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე. ისინი ცდილობენ რეაქციული პოლიტიკური რეჟიმების მეშვეობით ჩაახშონ მშრომელთა ბრძოლა

[illegible]

პოლიტიკური პრაქტიკის ამოცანებმა და წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემის საჭიროებამ წარმოშვა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური შეხედულებები და თეორიული პრობლემები, რომელთა გამოკვლევაში მონაწილეობენ პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებული სხვადასხვა საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენლები. ეს პრობლემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის სახელმწიფო და პოლიტიკური სისტემები, პოლიტიკური განვითარება და საერთაშორისო ურთი-

[illegible]

ლიტიკის, სამართლისა და [illegible] ტიკის ურთიერთდამოკი[illegible] ბის, სოციალისტური [illegible] ფოს ფუნქციების განხო[illegible] ბისა და სახელმწიფო [illegible] მუშაობის ორგანიზაციის, [illegible] ლისტური დემოკრატიის [illegible] ფისა და სოციალისტური [illegible] ერების განმტკიცების [illegible] საკითხი. პოლიტიკის [illegible] ასპექტით დაინტერესებუ[illegible] რეთვე საზოგადოებრივ [illegible] ბათა ისეთი დარგები, [illegible] არის ეკონომიკური მეც[illegible] ნი, სოციოლოგია, [illegible]

[illegible]

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

თეატრი ელის მაყურებელს

თბილისს დაბრუნდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი, რომელიც ოცი დღის განმავლობაში თავის შემოქმედებას აცნობდა ლენინგრადელ მაყურებელს. მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სცენაზე რუსთაველელებმა ოთხი სპექტაკლი წარმოადგინეს: შექსპირის „რიჩარდ მესამე", ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე", თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის" და რ. სტურუას, ა. ვარსიმაშვილისა და ლ. ფოფხაძის „ვარიაციები თანამედროვე თემაზე". აგრეთვე საგანგებოდ თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლთათვის დადგეს უ. ლიუსის პიესა „ამჰერსტის მშვენება".

რუსთაველის თეატრის გასტროლები უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე გმირი ქალაქის მცხოვრებლებისათვის. რუსთაველელებს დიდი სიყვარულითა და აღტაცებით ხვდებოდნენ სცენაზე თუ ქალაქის ქუჩებში. ათასობით მაყურებელმა შეიყვარა და ღირსეული პატივი მიაგო რ. სტურუას, გ. ყანჩელის, გ. მესხიშვილის, მ. შველიძისა და ი. ზარეცკის შემოქმედებას. რ. ჩხიკვაძის რიჩარდი და აზდაკი, რომლებმაც წარმატებით მოიარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენა, ახლა ლენინგრადელთა ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ახალი თაყვანისმცემლები შეიძინეს მ. ჩახავას, ს. ყანჩელის, მ. თბილელის, ი. გიგოშვილის, ნ. ფაჩუაშვილის, თ. დოლიძის, გ. გეგეჭკორის, გ. საღარაძის, ჯ. ლაღანიძის, ქ. კავსაძის, ქ. ლოლაშვილის, კ. საკანდელიძის, ა. მახარაძისა და გ. ხარაბაძის სცენურმა გმირებმა, სპექტაკლების არც ერთ მონაწილეს არ მოკლებია მაყურებლის სითბო და სიყვარული.

გასტროლების დღეებში მსახიობის სახლში გაიხსნა მხატვარ გ. მესხიშვილის ნამუშევართა გამოფენა, რომელმაც ლენინგრადის თეატრალური საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა.

რუსთაველის თეატრის შემოქმედების ფართო დიაპაზონის კიდევ ერთ დადასტურებად მიიჩნიეს მაყურებლებმა მონოსპექტაკლი „ამჰერსტის მშვენება" (რეჟისორები რ. სტურუა, რ. ჩხეიძე), რომელშიც ამერიკელი პოეტი ქალის — ემილი დიკინსონის როლს ბრწყინვალედ ასრულებს ზინაიდა კვერენჩხილაძე. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

უაღრესად საინტერესო იყო რუსთაველის თეატრის წარმომადგენელთა შეხვედრები ლენინგრადელ მშრომელებთან, სტუდენტებთან, ჟურნალისტებთან, თეატრალურ მოღვაწეებთან.

გასტროლები თეატრისათვის მუდამ გამოცდაა და რუსთაველელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამჯერადაც ისახელეს თავი — ღირსეულად წარუდგინეს ქართული თეატრალური ხელოვნება მომთხოვნ ლენინგრადელ მაყურებელს.

და აი, დღეს რუსთაველის თეატრი ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრით" ხსნის მორიგ ახალ სეზონს პროფკავშირების კულტურის სასახლეში, სადაც იგი დაბინავდა რუსთაველის თეატრის შენობის კაპიტალური რემონტის გამო.

ახალ სეზონში თეატრი მაყურებელს საინტერესო ნამუშევრებს ჰპირდება. ზოგიერთ პიესაზე დასმა უკვე დაიწყო მუშაობა. თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. სტურუა დგამს რ. იბრაგიმბეკოვის პიესას „დაკრძალვა კალიფორნიაში". შემდგომ იგი კვლავ მიუბრუნდება შექსპირს და მაყურებელს წარუდგენს „მეფე ლირს". ლირის როლში ვიხილავთ სსრ კავშირის სახალხო არტისტს რ. ჩხიკვაძეს. მუშაობა გაგრძელდება ახალგაზრდა დრამატურგის მ. ნიაურის პიესაზე „მოგზაურობა", რომელიც ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებზეა შექმნილი (რეჟისორი ნ. ბაგრატიონი). ვ. სიხარულიძის პიესის „მარტოსახლი ქალაქის განაპირას" დადგმაზე მუშაობს რეჟისორი გ. სიხარულიძე. გ. რჩეულიშვილის პიესას — „პიესა, რომელიც დაწერა გურამმა" დადგამს რეჟისორი ნ. ხატისკაცი. განზრახულია დაიდგას ა. ვამპილოვის პიესა „იხვებზე ნადირობა". ეს იქნება ახალგაზრდული სპექტაკლი, რომელსაც რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი წარუდგენს მაყურებელს.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნება ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", ხოლო სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს — გოგოლის „რევიზორი" ან ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი". ასეთია არასრული სია იმ ახალი ნამუშევრებისა, რომლებსაც მაყურებელი ნახავს რუსთაველის თეატრის სცენაზე ახალ სეზონში. რეპერტუარში კვლავ რჩება გასული სეზონის საუკეთესო დადგმები.

თეატრის კოლექტივი მღელვარებით მოელის ახალ თეატრალურ სეზონს და მაყურებელთან შეხვედრას.

ლ. ფოფხაძე,
თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

დავით გელაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია. იგი პირველი კურსიდან ფრიადოსანია. მან 1978 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკურ-მათემატიკური სკოლა და უნივერსიტეტში იმავე წელს მოეწყო.

სურათზე: დ. გელაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავისათვის

4 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
დასაწყისი 6 საათზე.

„კომუნისტის" პუბლიკაცია

ისევ მწერლის საოჯახო არქივიდან

● „ერეკლე მეფის ისტორია", დაწერილი უცნობი ავტორის მიერ ● კავკავის ბოლშევიკური არალეგალური სტამბის სასამართლო პროცესი ● ხმალი, სპეციალური დაკვეთით დამზადებული ქართველი მოფარიკავისათვის ● ქუთაისში პირველი ქართული წარმოდგენის თარიღის დაზუსტებისათვის.

ნიკო ლორთქიფანიძის არქივში ძალიან ბევრი მეტად საყურადღებო და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გასაშუქებლად ძალზე მნიშვნელოვანი საბუთი და ცნობა არის შემონახული. ისინი განსაკუთრებულ მეცნიერულ შესწავლას და დამუშავებას მოითხოვენ და, ალბათ, ეს მომავალში გაკეთდება.

მწერლის საოჯახო არქივშია „ერეკლე მეფის ისტორია", დაწერილი მეფის სიკვდილიდან რამოდენიმე წლის შემდეგ რუსულ ენაზე კალიგრაფიული ხელით. უცნობი ავტორი ერთობ დაწვრილებით მოგვითხრობს პატარა კახის ომების, დიპლომატიური საქმიანობისა და რუსეთის ჯართან ურთიერთობის შესახებ; ეს საბუთი მშვენიერი, გამართული რუსული ენით არის დაწერილი და, ალბათ, განკუთვნილი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის, ან რუსეთის მაშინდელი მთავრობის რომელიმე დიდი მოხელისათვის წარსადგენად. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა ჩვენი ხალხი ემზადება ზეიმით აღნიშნოს ორასი წლისთავი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დღიდან.

მეორე უნიკალური დოკუმენტია 1921 წელს თბილისის ხაზინიდან მენშევიკური მთავრობის მიერ უცხოეთში წაღებული ოქროსა და ვერცხლის ზოდების, ვალუტისა და განძეულობის მიღება-ჩაბარების აქტის ორიგინალი, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერს თვითონ ექვთიმე თაყაიშვილი (ეს აქტი სრულიად არ ეხება იმ უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც შემდგომში დაბრუნებულ იქნა საქართველოში და ამჟამად რესპუბლიკის ხელოვნების მუზეუმში ინახება).

არანაკლებ მნიშვნელოვანია კავკავის (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე) ბოლშევიკური არალეგალური სტამბის სასამართლო პროცესის მთელი საქმეც, რომელშიც თავმოყრილია ოფიციალური მასალები სტამბის პირველი ჩხრეკის ოქმით და ბრალდებულთა დაკითხვიდან დაწყებული (ამ სტამბაში ქართველი მუშები მუშაობდნენ) სასამართლო პროცესით და საქმესთან დართული არალეგალური ბროშურებით დამთავრებული. ეს სტამბა 1906 წლის 1 აპრილს აღმოაჩინა ჟანდარმერიამ.

როგორც მწერლის ვაჟიშვილი მერაბ ლორთქიფანიძე განმარტავს, ნიკო ლორთქიფანიძის არქივში ეს საქმე იმიტომ მოხვედრილა, რომ ბრალდებულებს იცავდა მწერლის უფროსი ძმა იასონ ლორთქიფანიძე, რომელიც იმჟამად კავკავში მუშაობდა ნაფიც ვექილად. მან დაიცვა მუშები და დაიცვა დიდი წარმატებითაც — ბრალდებულებს მინიმალური სასჯელი მისცეს. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ საქმესთან ახლავს იასონ ლორთქიფანიძის ხელით შედგენილი დაცვის გეგმა, მისი ჩანაწერები და შენიშვნები, რაც დამატებით ნათელს ფენს ამ საინტერესო საქმის ვითარებას და ფრიად საგულისხმო მასალა არის მკვლევარისათვის, რომელიც რევოლუციური მოძრაობის და ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაზე მუშაობს.

აქ, თითქოს, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას იასონ ლორთქიფანიძეზე (1866-1949), რომელსაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვის XX საუკუნის საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ი. ლორთქიფანიძემ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა თავდაპირველად განჯაში. აქ მან საქართველოს საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრო უპატრონოდ მიტოვებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავს და აქტიურად მონაწილეობდა დიდი პოეტის ნეშტის გადმოსვენებაში. მერე კავკავში გადავიდა სამუშაოდ, სადაც მალე მიიღო ნაფიცი ვექილის საპატიო წოდება. კავკავის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის მუშების წარმატებით დაცვის შემდეგ იმდენად გაითქვა სახელი ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ აირჩიეს ვლადიკავკავის ქართველთა სათვისტომოს და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარედ, ჩრდილო კავკასიის ურთიერთდამხმარე ბანკის მმართველად. იყო ვლადიკავკავის ახალი ქართული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მრავალი კულტურული და ეკონომიკური წამოწყების სულისჩამდგმელი. თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, აქაც აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აირჩიეს ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი კომიტეტის წევრად და საფინანსო კომისიის ხელმძღვანელად. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უკანასკნელი თავმჯდომარე 1927 წლამდე. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო ბანკის დაარსებაში აქტიურად მონაწილეობდა და იყო მისი პირველი მმართველი 1921 წლიდან 1927 წლამდე. ბოლოს ი. ლორთქიფანიძე სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველი არქივების მოწესრიგება-აღწერითი სამუშაოების ხელმძღვანელად. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორტომიანი ფუნდამენტური გამოკვლევა „ქვემო ქართლი", „ერეკლე მეფის მორიგე ჯარი" და სხვა...

როგორც ამ მრავალრიცხოვანი ოჯახის ყველა წევრი, იგი იყო ჩუმი, თავდაჭერილი, პატიოსანი და უპრეტენზიო, მშობლიური ქვეყნის ერთგული მოქალაქე.

მწერლის არქივში ინახება აგრეთვე ძველი ისტორიული საბუთები. მათ შორის ლორთქიფანიძეების საგვარეულო საბუთები, ქართული გვარების გენეალოგიები, ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი წერილები (ნიკო დადიანის, პეტრე უმიკაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, იოსებ ბოცვაძის, პართენ გოთუას, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს, შალვა დადიანის და სხვათა), რომლებიც ბევრ საჭირბოროტო საკითხს აშუქებენ; უნიკალური ისტორიული ფოტოსურათები, მაგალითად, შამილისა და მისი შვილის ფოტო, ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა 80-იანი წლების ხელნაწერი ჟურნალები და სხვა მრავალი.

რასაკვირველია, არქივში დიდი ადგილი უჭირავს თვით მწერლის მრავალ დაუმთავრებელ ნაწარმოებს, პირად წერილებს, ჩანაწერებს, მის მიერ შეკრებილ მდიდარ ქართულ ფოლკლორულ მასალას: თქმულებებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, გადმოცემებს, ანდაზებს და ა. შ.

საქართველოს სპორტის ისტორიის შემსწავლელი სპეციალისტებისათვის, კერძოდ, იმათთვის, ვისაც საქართველოში ფარიკაობის ისტორია აინტერესებს, საინტერესო იქნება ნიკო ლორთქიფანიძის ნივთებში არსებული ეგრეთ წოდებული დაბწნილი (გრეხილი), უმაღლესი ხარისხის ფოლადისგან დამზადებული შესანიშნავი საბრძოლო ხმალი, რომლის ვადაზე გაკეთებულია შემდეგი წარწერა: „Камер пажу кн. Левану Магалову I первый приз за бой на рапирах. 1899 г". ხმალს სხვა რაიმე წარწერა ან მითითება არ აქვს.

აღსანიშნავია, რომ ეს წარწერა ამოტვიფრული — ამოჭრილი კი არ არის ლითონზე, არამედ ამობურცული ასოებით არის გაკეთებული. ესე იგი წარწერა გაკეთებულია ხმლის დამზადების პროცესში, რაც მიუთითებს, რომ ხმალი სპეციალური შეკვეთით დაუმზადებია ოსტატს ქართველი მოფარიკავისათვის, ეს კი ამ შეჯიბრის და თვით ჯილდოს დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ვინაიდან ხმალი მიუღია წოდებით კამერ პაჟს ლევან მაღალაშვილს I-ს და წარწერაც რუსულადაა შედგენილი, სავარაუდოა, რომ შეჯიბრი ქართველი მოფარიკავის მონაწილეობით, ალბათ, პეტერბურგში გამართულა.

მეტად საყურადღებოა საბუთი ნიკო ლორთქიფანიძის არქივიდან, რომელიც ნათელს ჰფენს ქართული თეატრის ისტორიის ერთ მონაკვეთს — სახელდობრ, როდის დაიდგა ქუთაისში პირველი ქართული წარმოდგენა, ვინ იყო მისი ინიციატორი და ვინ მონაწილეობდა მასში.

ქართული თეატრის ცნობილი მკვლევარი სერგი გერსამია 1947 წელს „ხელოვნების" მიერ გამოცემულ გამოკვლევაში „ქუთაისის თეატრი (1861–1920)" წერს:

ქუთაისში „...პირველი წარმოდგენა 1861 წლის 3 (15) მარტს გაიმართა. დადგეს გ. ერისთავის ცნობილი კომედია „გაყრა". წარმოდგენის ორგანიზატორი იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძე (1827-1890)" (გვ. 5-7).

ქართული თეატრის მეორე ცნობილი მკვლევარი გ. ბუხნიკაშვილი თავის ვრცელ გამოკვლევაში „თეატრალური ქუთაისი" (1976 წ.) წერს:

„ეს ისტორიული წარმოდგენა (იგულისხმება ქუთაისში გამართული პირველი წარმოდგენა—ნ. მ.) გაიმართა, 1861 წლის 3 მარტს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში. სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს გ. ერისთავის კომედია „გაყრა" (გვ. 6).

ამრიგად ქართული თეატრის ისტორიის ორი ავტორიტეტიანი მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს, რომ პირველი ქართული წარმოდგენა ქუთაისში 1861 წლის 3 მარტს გაიმართა.

ასე იყო თუ არა სინამდვილეში?

ამ საკითხს სრულიად ახლებურად აშუქებს ნიკო ლორთქიფანიძის არქივში დაცული ჩანაწერი. იგი დაწერილია მოყვითალო, ხაზებიან საფოსტო ქაღალდის ფურცელზე. ასეთ ქაღალდზე დაწერილი წერილები მრავლადაა შენახული მწერლის არქივში. ისინი — დაახლოებით 300 წერილი — მწერლის მამის მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახის წევრების და მათი მეგობრების ეპისტოლარულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ. უმრავლესობა XIX საუკუნის 80-იან წლებს განეკუთვნება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ზემოხსენებული ჩანაწერიც მაშინდელი უნდა იყოს.

ხელწერა, ალბათ, მწერლის მამისაა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე წააგავს. ცნობის სიზუსტეში და სისწორეში არ შეიძლება ეჭვის შეტანა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ როგორც ჩანაწერიდან ჩანს, თვით მერაბ ლორთქიფანიძე მონაწილეობდა ამ წარმოდგენაში და მეორეც ცნობა ისეთი სიზუსტით, ისე დეტალურად არის ჩამოყალიბებული, რომ უეჭველია მისმა დამწერმა ქუთაისში პირველი წარმოდგენის დადგმის ისტორია ზედმიწევნით იცოდა და ალბათ, ყველა მონაწილეს ახლოს იცნობდა, რადგან გარდა გვარისა, ყოველ შემსრულებელს ზუსტად აქვს მიწერილი არათუ სახელი და მამის სახელი, არამედ ისიც, თუ რა თანამდებობა ეჭირა წარმოდგენის დადგმის დროს, აღნიშნულია, თუ ვინ იყო უკვე გარდაცვლილი, როცა ეს საბუთი იწერებოდა.

აი თვით ეს ჩანაწერიც:

„პირველი ქართული წარმოდგენა ქუთაისში გაიმართა 1859 წელს, თებერვლის თვეში, წარმოადგინეს ერისთავის პიესა „გაყრა".

თაოსნობა და ხარჯი ამ შემთხვევაში იყო გიორგი ბესარიონის ძის ლოლობერიძისა. მას ხელს უწყობდა, ეხმარებოდა კოვაკა, რომელიც იყო გუბერნატორთან საგანგებო მინდობილობათა მოხელე. მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი პირნი:

„ანდუყაფარ — მყოფი უეზდის ნაჩალნიკის პამოშნიკად თ-დი ნიკო ჩიჯავაძე (განსვენებული).

პავლე — თ-დი დავით ივანეს ძე წულუკიძე.

ივანე ფრანტი — მყოფი სეკრეტარათ გუბერნ. პრავლენიაში სიკო იოსების ძე აბულაძე.

მოურავი ანდუყაფარის — თ-დი მერაბ გიორგის ძე ლორთქიფანიძე.

მაკრინე პავლეს მეუღლე — კნ. ნინუცა აბაშიძის ქალი ორბელიანისა.

მისი ქალიშვილი — კნ. ნინო წულუკიძის ასული ლორთქიფანიძისა.

სომეხი მიკირტუმა — მყოფი უეზდის ნაჩალ. სტეფ. მიზანდაროვი (განსვენებული).

სეკრეტარი სასამართლოსი — რამაზ ელიზბ. სავანელი (განსვ.)".

ეს მოკლე ცნობა მრავალმხრივ არის საყურადღებო.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ის დაიწერა, ალბათ, იმიტომ, რომ უფრო გვიანდელი პრესა ხშირად შეცდომით მიუთითებდა ქუთაისში პირველი წარმოდგენის დადგმის თარიღად 1861 წელს და ჩანაწერის ავტორს სურდა ეს შეცდომა გამოესწორებინა; შესაძლოა, სწორედ პრესისათვის იყო იგი განკუთვნილი, მაგრამ რატომღაც აღარ გამოქვეყნებულა.

უსაფუძვლო იქნება მოსაზრება თითქოს თვით ავტორს ეშლებოდეს თარიღი და 1859 წელს მიაწერდეს იმ სპექტაკლს, რომელიც სინამდვილეში 1861 წელს გაიმართა. ამას ადასტურებს წარმოდგენის მონაწილეთა სია, რომელიც არსებითად განსხვავდება 1861 წელს მონაწილე პირებისაგან. მხოლოდ ორი მათგანი — ს. აბულაძე და გ. მიზანდარი თამაშობდნენ ორივე წარმოდგენაში. საინტერესოა, რომ თუ 1859 წელს ს. აბულაძე ივანეს როლს ასრულებდა, 1861 წელს მისთვის ანდუყაფარის როლის განსახიერება მიუნდვიათ. ალბათ, მისმა თამაშმა იმდენად მოხიბლა მაყურებელი და დადგმის ინიციატორები, რომ ს. აბულაძისათვის შემდგომში მთავარი როლის შესრულება დაუკისრებიათ.

საგულისხმოა ისიც, რომ 1859 წლის დადგმის ინიციატორებად დასახელებული არიან გიორგი ლოლობერიძე და სახელმწიფო მოხელე კოვაკა და არა დ. ბაქრაძე და გ. ლოლობერიძე, რაც აგრეთვე ადასტურებს, რომ ამჯერად სულ სხვა დადგმაზეა საუბარი.

ჩანაწერის ავტორი არ მიუთითებს, რომელ შენობაში წარმოადგინეს 1859 წელს პირველად ქუთაისში გ. ერისთავის „გაყრა". სამაგიეროდ ამ საბუთის მიხედვით შეგვიძლია შეუცდომლად დავასკვნათ მეტისმეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — სანახაობა საჯარო იყო და არა სალონური ხასიათისა, ვინმეს კერძო ბინაში გამართული ვიწრო წრისათვის ამ მოსაზრებას ადასტურებს ორი გარემოება: ჯერ ერთი, ის რომ „დადგმას ხელს უწყობდა, ეხმარებოდა კოვაკა, რომელიც იყო გუბერნატორთან საგანგებო მინდობილობათა მოხელე". შინაური, სალონური წარმოდგენის გასამართავად არ იყო საჭირო გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელის ხელისშეწყობა და დახმარება. კოვაკას დახმარება მხოლოდ საჯარო სანახაობის გასამართავად იყო აუცილებელი, რადგან სწორედ საჯარო წარმოდგენის გამართვა და საჭირო შენობის დაქირავება არ შეიძლებოდა გუბერნატორის სპეციალური ნებართვის გარეშე. გარდა ამისა, ჩანაწერში საგანგებოდ არის აღნიშნული: „თაოსნობა და ხარჯი იყო გიორგი ბესარიონის ძის ლოლობერიძისაო". შინაური წარმოდგენის გამართვის დროს დადგმასთან დაკავშირებული ხარჯი იმდენად მცირე იყო ხოლმე, რომ მისი განსაკუთრებით მოხსენიება არ იქნებოდა საჭირო.

ამრიგად, ვფიქრობთ, უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ პირველი საჯარო წარმოდგენა ქუთაისში გაიმართა არა 1861 წლის 3 (15) მარტს, არამედ ორი წლით ადრე, სახელდობრ, 1859 წლის თებერვალში, ესე იგი თბილისში ქართული თეატრის აღდგენამდე 20 წლით ადრე, და ამ საქმეს ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო გიორგი ბესარიონის ძე ლოლობერიძე, რომელსაც გუბერნატორის თანამშრომელი კოვაკა ეხმარებოდა და ა. შ.

ალბათ, ამ ცნობის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ბევრი საკითხი აღიძვრება ქართული თეატრის მემატიანეებს.

ნ. მერაბიშვილი.

ნარმატება უკრაინის დედაქალაქში

კიევი. დნეპრისპირა გმირ ქალაქში ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი მოზარდ მაყურებელთა თეატრის — თბილისის დასის გასტროლებმა პირველად მისცა კიეველებს შესაძლებლობა შეხვედროდნენ მოძმე რესპუბლიკის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობების ხელოვნებას სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს.

კიევის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე თბილისელებმა აჩვენეს თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები — მ. როშჩინის „იჩქარეთ ქმნა სიკეთისა", „ბუმბარაში" ა. გაიდარის მიხედვით, ვ. აგრანოვსკის „შეაჩერეთ მალახოვი", „ლამანჩელი კაცი" მ. სერვანტესის მიხედვით, ქართული ხალხური ზღაპრები. 85-ჯერ გამოვიდნენ უკრაინის სცენაზე საქართველოს მსახიობები და მათ ყოველთვის დიდი წარმატება ჰქონდათ.

ამ კოლექტივის გასტროლები მოვლენა გახდა კიეველთა კულტურულ ცხოვრებაში, რასაც მოწმობს პრესის მრავალი გამოხმაურებაც და 50 ათასზე მეტი მაყურებელიც, რომლებიც სტუმრების სპექტაკლებს დაესწრნენ.

თბილისელი სცენის ოსტატები შეხვდნენ მოსწავლეებს, სტუდენტებს, ახალგაზრდა მუშებს, გამართეს სპექტაკლები აუდიტორიებსა და საქარხნო კლუბებში.

კიევში გამართული გასტროლების დროს მოსწავლეთა და ახალგაზრდათა კულტურული მომსახურებისათვის, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების აქტიური პროპაგანდისათვის თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი, რომელსაც ცნობილი რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. აბაშიძე ხელმძღვანელობს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. (საქტესი).

● ●

ხალხური ხელოვნების სინატიფე

გამომცემლობა „მერანის" საგამოფენო დარბაზში რამდენიმე დღეს იყო ექსპონირებული ხალხურ ხელმარჯვეთა ნამუშევრები. ამჯერად იგი დაეთმო რუსთაველ მეტალურგთა კულტურის სასახლის სახალხო სტუდიას „ოპიზარში" გაერთიანებულ ხელმარჯვე ოსტატებს.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაში რუსთაველთა გარდა მონაწილეობდნენ ლატვიის მასწავლებლის რესპუბლიკური სახლის, რიგელ პოლიგრაფისტთა, ქარხანა ვეფის, ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური სტუდიები, რომლებთანაც რამდენიმე წლის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს სტუდია „ოპიზარს".

თბილისელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს გამოფენისადმი, რომელზეც წარმოდგენილი იყო ჭედურობის, ხის მოჩუქურთმების, მხატვრული ქარგვის და სხვა ნატიფი გამოყენებით შესრულებული ნამუშევრები.

ე. ქურციკიძე.

● ●

წიგნის თარო

გამომცემლობა „ხელოვნებამ" გამოსცა ზურაბ რატიანის იუმორისტული ნაწარმოებების კრებული „უკვდავების გზა".

მწერლის პირველ იუმორისტულ მოთხრობებს ამ ოციოდე წლის წინათ გაეცნო ქართველი მკითხველი. ახალი წიგნი იუმორესკების, პაროდიების, იგავების, მინიატიურების, მხიარული დიალოგებისა და ერთი პატარა კომედიისაგან შედგება.

წიგნის რედაქტორია ნ. გელოვანი, მხატვარი — ზ. ფორჩხიძე.

ჯაბახი

ქვმი ფიცხელი ბრძოლისა

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრემეტე ტურის ბოლო ორი მატჩი ასე დამთავრდა: „ზენიტი"-„ფახთაქორი" — 0:1, მოსკოვის „ტორპედო"-„ნეფთჩი" — 0:0. მორიგი ტურის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (მნ)	31	17	8	6	52-32	42
„დინ." (კ)	30	15	10	5	48-20	40
„სპარტაკი"	31	15	8	8	53-29	38
„დინ." (თბ)	31	15	8	8	48-41	38
„არარატი"	31	13	9	9	41-42	35
„ფახთაქ."	31	12	9	10	39-36	33
„ტორ." (მ)	31	11	9	11	34-31	31
„ზენიტი"	31	11	8	12	38-38	30
„მეტალ."	32	10	10	12	31-32	30
„ჩერნომ."	31	10	11	10	26-27	30
„დნეპრი"	32	10	11	11	33-38	30
„დინ." (მ)	31	12	5	14	38-42	29
ცსკა	31	9	9	13	38-43	27
„ნეფთჩი"	31	10	6	15	38-56	26
„ტორ." (ქ)	31	9	8	14	36-44	26
„შახტ."	31	9	8	14	38-52	26
„კუბანი"	30	8	8	14	33-48	24
„ყაირათი"	31	6	9	16	32-50	21

როგორც ხედავთ, გათამაშების ცხრილის ზედა თუ ქვედა სართულზე განლაგებულ გუნდებს შორის საპრიზო ადგილების განაწილებისათვის თუ უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის კვლავ ფიცხელი ბრძოლაა მოსალოდნელი. ეს რომ ასეა ნოემბრის კალენდარული მატჩების განრიგიდანაც ჩანს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

3 ნოემბერი. „კუბანი" — კიევის „დინამო".

6 ნოემბერი. ცსკა — „ნეფთჩი".

8 ნოემბერი. „ჩერნომორეცი" — მოსკოვის „დინამო", კიევის „დინამო" — „სპარტაკი", „ზენიტი" — „ყაირათი", მინსკის „დინამო" — „ფახთაქორი", „შახტიორი" — „მეტალისტი", „კუბანი" — „დნეპრი", „არარატი" — **თბილისის „დინამო", მოსკოვის „ტორპედო" — ქუთაისის „ტორპედო".**

12 ნოემბერი. „სპარტაკი" — „ზენიტი".

13 ნოემბერი. „ნეფთჩი" — „შახტიორი", „ფახთაქორი" — მოსკოვის „ტორპედო", „ყაირათი" — ცსკა, მოსკოვის „დინამო" — მინსკის „დინამო", „არარატი" — „ჩერნომორეცი", **თბილისის „დინამო" — კიევის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო" — „კუბანი".**

16 ნოემბერი. „დნეპრი" — „მეტალისტი", „ნეფთჩი" — „კუბანი", „ფახთაქორი" — ცსკა, „ყაირათი" — მოსკოვის „ტორპედო", „სპარტაკი" — მინსკის „დინამო", მოსკოვის „დინამო" — „ზენიტი", „არარატი" — კიევის „დინამო", **თბილისის „დინამო" — „ჩერნომორეცი", ქუთაისის „ტორპედო" — „შახტიორი".**

საჭადრაკო ოლიმპიადები

ლიუცერნში დაიწყო მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადები. პირველ ტურში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა ახალი ზელანდიის გუნდი ანგარიშით 4:0 (ითამაშეს კარპოვმა, კასპაროვმა, პოლუგაევსკიმ და ბელიავსკიმ), მეორე ტურში კი ჩვენმა მოჭადრაკეებმა მოუგეს ჩილეს ნაკრებს — 3,5:0,5. პოლუგაევსკიმ, ტალმა და იუსუპოვმა თავიანთი პარტიები მოიგეს, ხოლო ბელიავსკი ყაიმს დასჯერდა.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა, რომლის ღირსებას მხოლოდ თბილისელები იცავენ, პირველი შეხვედრა მოუგო ავსტრალიელებს (ამ დღეს ითამაშეს მაია ჩიბურდანიძემ, ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ). მეორე დღეს ჩვენმა ქალებმა დაამარცხეს ინგლისელები — 2,5:0,5. ჩიბურდანიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა, ხოლო ნანა იოსელიანმა და ალექსანდრიამ გაიმარჯვეს.

ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილეობს 94 გუნდი, ქალთა შორის კი პირველობას ერთმანეთს ეცილება 46 კოლექტივი. ოლიმპიადა იმართება შვეიცარიული სისტემით.

მასპინძლებმა ყველას აჯობეს

გუშინწინ ლენინგრადში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი მშთ მრავალჭიდში. გუნდური პირველობა მოიპოვეს მასპინძლებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა რუსეთის ფედერაციის კოლექტივი, მესამეზე — უკრაინისა. საქართველოს წარმომადგენლებს მეთერთმეტე ადგილი ხვდათ წილად. აღსანიშნავია ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა წარმატება. ასე მაგალითად II საფეხურის ნიშნოსანთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისელმა ელენე პოპიკინამ და ქუთაისელმა გენადი პოდიბლონსკიმ. 100 შესაძლებლობიდან 99-99 ქულა დააგროვეს 50 მეტრზე მცირეკალიბრიან შაშხანიდან სროლაში სტუდენტებმა — თბილისელმა კონსტანტინე სმირნოვმა და ლენინგრადელმა ნიკოლოზ კულიკოვმა (ორივემ IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზა). პნევმატური იარაღიდან 10 მეტრზე სროლაში იმარჯვეს ყველაზე ნორჩებმა (მეორე საფეხური) — თბილისელმა ელენე პოპიკინამ, ლენინგრადელმა მარინე სლობოდამ, კიშინიოველმა ოლღა კუჩერმა და ტარტუელმა ალექსანდრა პოპოვამ. მათ 50 შესაძლებლობიდან 49-49 ქულა დააგროვეს.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენო ყველა ორგანიზაციასა და პირს, ვინც თანამიგრძნო მწუხარებაში მეუღლისა და მეგობრის **თამარ ყიასაშვილის** გარდაცვალების გამო.

არნ. ჩიქობავა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რ ე დ ა ქ ც ი ა: რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და არესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები: მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ტელევიზია

2 ნოემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — ცხოველთა სამყაროში. 10.45 — პ. ი. ჩაიკოვსკი — „იოლანტა". სპექტაკლი. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები „ხუთწლედი ყველას საქმეა". 16.45 — კ. ტრენიოვი — „ლიუბოვ იაროვაია". 17.35 — ვილნიუსის უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 18.05 — დოკუმენტური ტელეფილმი „აფროდიტას კუნძული". 18.35 — ლ. კასილი „კონდუიტი და შვამბრანია". 19.30 — მხიარული ნოტები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მეცნიერება. 20.45 — კინოეტიუდი. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ჩვენ აქ უნდა ვიცხოვროთ". I სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ჯაზისკაცური მემუარები". მე-3 ფილმი — „სოფლის მასწავლებელი". დოკუმენტური ტელეფილმი. 23.30 დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.35 და 11.45 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 10.15 და 14.30 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.40 — საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის საფუძვლები. VIII კლასი. 12.05 — რუსული ენა. 13.10 — მეცნიერება. 14.00 — ნ. ა. ნეკრასოვის ლირიკა. IX კლასი. 15.00 — ა. გაიდარის ცხოვრება და წიგნები. 15.45 — ოქტომბრის წინ. ვ. ი. ლენინის უკანასკნელი იატაკქვეშეთი. 15.25 — ახალი ამბები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო"! 21.15 — ჰოკეი. ცსკა — „ტრაქტორი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი შეხვედრა".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საით მიედინები ამუდარიავ". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ-60". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აშხაბადი". 10.45 — პ. ჩაიკოვსკი — „იოლანტა". სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სპექტაკლი (მ.). 12.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ავანგარდში". 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — მხატვრული ფილმი „პურის გემო". 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის. ლიტერატურული გადაცემა „მიხეილ სვეტლოვი". 18.15 — საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის შესახვედრად — „ჩემი მასწავლებელი". 18.50 — „ხუთწლედი — წელი მეორე". „ათასი წვრილმანი ავსებს ჩვენს ყოფას". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 „მოამბე". 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ფრაკი ყალთაბანდისათვის". 21.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „კურდღელი, ვიოლინო და ჭრაჭუნა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — თბილისობა — ხალხური პოეზიის ზეიმი. 23.35 — ახალგაზრდობისათვის — მღერის ანსამბლი „75".

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი სპორტული დრო". 17.15 — განცხადებები. 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოსნური ტომარა". 17.30 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია. 18.15 — მხატვრული ფილმი „მხიარული ექსკურსია".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08531 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20